ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



დააკავეს X2 Development-ის დირექტორი, რომელმაც ქალზე იძალადა გვ.2

47 წლის ქართველი კაცი იტალიაში საკვების მოპარვისთვის დააკავეს გვ.3

ოთხშაბათი, 10 აპრილი, 2024 №71 (9364) ფასი: 80 თეთრი



## „ივანიშვილი ამომრჩეველს ტესტავს. ხალხს არც მთავრობა უნდა, არც ოპოზიცია და არც არჩევნებზე მისვლა“




მამუკა გამყრელიძე: „ხალხმა უნდა იპოვოს თავის თავში ძალა და გაუშვას ეს ხელისუფლება და ეს ოპოზიციაც“



გვ.2



## საქართველოში საპროტესტო აქციები დააანონსეს

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ხალხში დაგროვილი უარყოფითი ენერგია შეიძლება ისე აფეთქდეს, რომ ვერავინ და ვერაფერმა შეაჩეროს. მერე „ოცნებას“, რუსეთის გარდა, არსად ექნება წასასვლელი“



გვ.3

## „ერთპარტიულობა უნდა დასრულდეს!“



**პრეზიდენტი:** „ის, რომ 8 აპრილს ვილაცებმა გაბედეს და რუსული კანონი კიდევ ერთხელ შემოიტანეს, ეს არის მათი დამარცხების ყველაზე დიდი ნიშანი“ გვ.2

*ისტორიები*

### რატომ არ უნდოდათ მენშევიკებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა



გვ.5



გვ.4

### „9 აპრილი ზეიმის დღე უნდა იყოს!“

ნიკა გვარამია: „რუსეთთან მიერთება არ გამოვა“ გვ.2

3 „ოცნების“ ლიდერები, რომლებიც 9 აპრილის შემდეგ ისევ კომუნისტურ რეჟიმს ემსახურებოდნენ

4 „უცხოელი კურიერები მართვის მოწმობის გარეშე დადიან...“

7 ბარსელონა კვარაცხელიათი დაინტერესდა

6 ბაიდენის ახალი ინიციატივა

# „ივანიშვილი ამომრჩეველს ტესტავს. ხალხს არც მთავრობა უნდა, არც ოპოზიცია და არც არჩევნებზე მისვლა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.



## მამუკა გამყრელიძე: „ხალხმა უნდა იპოვოს თავის თავში ძალა და გაუშვას ეს ხელისუფლება და ეს ოპოზიციაც“

***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რატომ შემოაბრუნეს ეს სკანდალური კანონპროექტი?***

– არ ვიცი, რა ვთქვა. იმდენად არალოგიკური საქციელია, რომ უამრავი სხვადასხვა ვერსია დაიბადა ამასთან დაკავშირებით. რთულია მათ ლოგიკას გავყვე. საკუთარ ფეხებში სროლას ჰგავს ეს ყველაფერი. ვერ ვხვდები, რაში დასჭირდათ ეს ყველაფერი იმ დროს, როდესაც ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ თავისუფლად იგებენ არჩევნებს, ამ დროს კი ამ კანონის თავიდან გამოგორება, რომ ხალხი გადარიო და გააგიჟო.

***– დასავლეთიდან სერიოზული მუქარანარევი განცხადებები კეთდება. ასე მარტივად შეარჩენენ ამ ყველაფერს?***

– მუქარანარევი აღარ ჰქვია ამას, ღია მუქარაა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ოქტომბრის დასაწყისში ძალიან ცუდი დასკვნა იგეგმება, რა თქმა უნდა, არჩევნებს დაელოდებიან და ამის მერე იქნება დასკვნა. წლის ბოლოს თუ ასე გაგრძელდა, ძალიან ცუდი პროცესი იქნება და უარს იტყვიან, რომ დეკემბერში ჩვენთან დიალოგი შედგეს.

***– ევროპული გზის საბოტაჟია?***

– სწორედ ეგ არის. ანუ სტატუსს ვერ წაიღებენ უკან, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ვიზა ლიბერალიზაცია შეგვიჩერონ, რაც ძალიან მკვეთრსა და უარყოფით პროცესებს გამოიწვევს. ვინც ევროპაში ცხოვრობს, ის ხვდება, რა საფრთხესაც წარმოადგენს ეს ყველაფერი.

***– რას გვეუბნებიან ამით?***

– სხვადასხვა ვარიანტია. ერთნი ამბობენ, რომ რუსეთიდან უბრძანეს და გააკეთა. ასე პირდაპირი ბრძანებების გაცემას ერთი ქვეყნიდან მეორეზე, გამოვრიცხავ. როგორც წესი, ასე არ ხდება. მე არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილი ამით კიდევ ერთხელ ტესტავს საზოგადოებას. 2012 წლიდან მოყოლებული, სულ ტესტავს საზოგადოებას. შესაძლოა, სულაც არ მოჰყვეს პროტესტი და რეაგირება ამ ყველაფერს.

***– შესაძლოა, შარშანდელი მარტის მოვლენების მსგავსი აღარ განვითარდეს?***

– დიახ, სულაც არაა გამორიცხული. საკმაოდ ნელი ტემპით მიდიან. ახლა ერთი კვირით გადადეს, ისეთ დროს შეურჩევენ და ისე გაიტანენ, რომ ნაკლები პროტესტი იყოს. ენჯეოების სრული კონტროლი უნდათ. ნებისმიერ ორგანიზაციასა და ნებისმიერ ადამიანს დაევალება მერე დაწეროს, რომ ის არის უცხოური ქვეყნის ინტერესების გამტარებელი. დამთავრებულია მერე, ამით იმ ადამიანის თუ ორგანიზაციის იმიჯი ისპობა. ახლა მიდის საზოგადოების დატესტვა, საზოგადოება გააპროტესტებს თუ არ გააპროტესტებს.

***– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, არანაირი მოლოდინი არ მაქვს. არ ვიცი, როგორი განწყობებია საზოგადოებაში. თუ ოპოზიცია მოახერხებს, რომ ხალხის გონებამდე მიიტანოს ეს პრობლემები, აუხსნან მათ, რომ შესაძლოა, ვიზა ლიბერალიზაცია დაკარგონ. აი, ეს უნდა მიიტანონ ხალხამდე და არა ერთი და იგივეს ყვირილი, რომ „ოცნება“ რუსია და რუსებმა მისცეს ეს დავალება, მარტო ეს აღარ მუშაობს. კარგად უნდა აუხსნან ხალხს, რას კარგავენ.

***– ბატონო მამუკა, რატომ გააუქმეს „ალტ ინფო“?***

– არ გაუუქმებიათ, ვინ თქვა, რომ გააუქმეს?! როგორც პოლიტიკურ პარტიას არ მისცეს რეგისტრაცია. ეგ სულაც არ ნიშნავს გაუქმებას. ის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ისევ იქნება. ასევე ძალიან ბევრი ოპოზიციური პარტია ვერ გაივლის რეგისტრაციას. იმათ თუ გავუუქმეთ, თქვენ ვინ ხართ. ვერ იზამენ, თუ რა?!

***– ანუ სხვასაც ემუქრება საფრთხე?***

– რა თქმა უნდა. ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენი საზოგადოება კი ამაზე პროტესტს არ გამოხატავს. მოდი, პირდაპირ გეტყვით, რომ საზოგადოება საერთოდ არაფერზე არ გამოხატავს პროტესტს. საზოგადოება ნიჰილიზმშია გადავარდნილი. აი, ამას მიაღწია ივანიშვილმა. 2012 წლიდან მოყოლებული, სულ ამას ვამბობდი, რომ ივანიშვილის მთავარი მიზანი იყო საზოგადოებაში ნიჰილიზმის დათესვა, როდესაც არც მთავრობა უნდათ, არც ოპოზიცია უნდათ და არც არჩევნებზე მისვლა. ხალხმა დაინახა, რომ არავინ არ ვარგა.

***– ახლაც ვერ მოიგებს ოპოზიცია გონს? საკუთარ თავზე ირგებს კანონებს „ოცნება“. მეტი რა უნდა მოხდეს?***

– არ ვიცი, რას ფიქრობს ოპოზიცია და ისიც არ ვიცი, გონს მოეგება თუ არა. ხომ ხედავთ, რას აკეთებს ხელისუფლება, გვიუქმებენ სამხედრო აეროდრომს და იქ აპირებენ საერთაშორისო აეროპორტის აშენებას. რა მიზნით ხდება ეს, როცა ამის არანაირი აუცილებლობა არ არის. კი, ინვესტიციები კარგია, მაგრამ სულ უცხოური ინვესტიციებით ხომ ვერ გაკეთდება?! ხომ გვაქვს უკვე აეროპორტი და საერთოდ არაფერში არ გვჭირდება ამის გაკეთება.

***– სამხედრო აეროდრომს რომ აუქმებენ, აღარ გვჭირდება?***

– როგორ არ გვჭირდება. ეს არის დაღუპვა ქართული არმიისთვის, მისი თავდაცვის უნარიანობისთვის. იქნებ სხვაგან გადატანას აპირებენ? რატომ არ გვიხსნიან ამ ყველაფერს?! გაუგებარია იქ აეროპორტის აშენება, ან თელავში რომ აშენებენ კიდევ. ყველა გაოცებულია, რა საჭიროა თელავში აეროპორტი. უკეთესია, გზები გააკეთონ ნორმალურად.

***– რა მოლოდინი გაქვთ? შეძლებს ოპოზიცია, რომ საპირწონე ძალა დადოს?***

– არ ვიცი. ვერანაირ საპირწონე ძალას ვერ ვხედავ. ვერანაირ რესურსს ვერ ვხედავ. ერთადერთი და მთავარი რესურსი არის საზოგადოება. საზოგადოებაში მოხდება ამ მუხტის აგორება? საზოგადოება აფეთქდება ამაზე, თუ არ აფეთქდება?! თუ შემოუტრიალეს სიტუაცია და კანონი არ მიაღებინეს, მაშინ „ოცნებამ“ შესაძლოა, წააგოს არჩევნები. დასავლეთიდანაც ძლიერი იქნება დაწოლა და საზოგადოებამ თუ ეს დაინახა, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნებამ“ არჩევნები წააგოს.

***– საზოგადოებამ უნდა თქვას მთავარი სიტყვა?***

– აბსოლუტურად ასეა. არანაირი რესურსი ოპოზიციას ახლა არ აქვს. თუ იპოვიან თავის თავში იმის ძალას, რომ გადადონ ეს ამბიციები გვერდზე და არ იძახონ, ჩვენ მარტო მოვიგებთ ამ არჩევნებსო. მეცინება ამაზე, მარტო რომ უნდათ არჩევნების მოგება. რითი აპირებენ მოგებას, არც ფული აქვთ, არც მხარდაჭერა და, რაც მთავარია, საზოგადოების ნდობა არა აქვთ. ნოლია ნდობა! იმის ძალაც არა აქვთ, რომ გაერთიანდნენ და როგორ უნდა ენდოს საზოგადოება?! თქვენ, ბიძიკო, ერთმანეთს არ ენდობით და მე რატომ უნდა გენდოთო, არ ეტყვიან?! ხალხმა უნდა იპოვოს თავის თავში ძალა და გაუშვას ეს ხელისუფლება და ეს ოპოზიციაც. ჩემი ჩათვლით თუნდაც. სრულიად ახალი ხალხი, ახალი ძალა უნდა მოვიდეს. სხვანაირად არაფერი გვეშველება.

## პრეზიდენტი: „ის, რომ 8 აპრილს ვილაცებმა გაბედეს და რუსული კანონი კიდევ ერთხელ შემოიტანეს, ეს არის მათი დამარცხების ყველაზე დიდი ნიშანი“



– ის, რომ 8 აპრილს ვილაცებმა გაბედეს და რუსული კანონი კიდევ ერთხელ შემოიტანეს, ეს არის მათი დამარცხების ყველაზე დიდი ნიშანი, – ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა 9 აპრილის მემორიალთან გააკეთა.

სალომე ზურაბიშვილმა პატივი მიაგო 35 წლის წინ, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას და ამ დღის ისტორიულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი:

– დღევანდელი დღე, რაც არ უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რომ დიდი ტრაგედია დატრიალდა და ნამდვილად დიდი ტრაგედია დატრიალდა, ეს არის უზარმაზარი გამარჯვების დღე, ის დღე, როცა ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ვერაფერი დაემუქრება საქართველოს და მის დამოუკიდებლობას. ეს არის უდიდესი გამარჯვების დღე საქართველოსთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და ამ დღის მნიშვნელობა არის ის, რომ ვერავინ ვერ დაემუქრება საქართველოს დამოუკიდებლობას. ვერავინ ვერაფერს ვერ გვიზამს და ის, რომ 8 აპრილს ვილაცებმა გაბედეს და რუსული კანონი კიდევ ერთხელ შემოიტანეს, ეს არის მათი დამარცხების ყველაზე დიდი ნიშანი, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

## კონსტანტინე მორგოშია: „ძმრად ვადენინებთ“



„ალტ ინფოს“ ლიდერი, კოკა მორგოშია იუსტიციის მინისტრის განცხადებას ტრაგიკომედიად აფასებს და ამბობს:

– რატი ბრეგაძის განცხადება ტრაგიკომედიაა. ის რას იტყვის სხვას, ამ სისტემის ნაწილია. თუ ის ჰგონიათ და ხუდნაძე წაიღებს ჩვენს ხმებს, მაშინ ფსიქიატრთან უნდა მივიდნენ და იმკურნალონ. საერთოდ, ადეკვატურობა დაუკარგავ ამ ასიათასობით ადამიანს ჩვენ თავისუფლებას არ დავუკარგავთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ძმრად ვადენინებთ აი ამ საქციელს, რაც ჩაიდინეს. გამოსავალები ნანახია. აქცია ჩატარდება 2 საათზე „ქართული ოცნების“ ოფისის წინ, შაბათს. ეს იქნება ძალიან მასშტაბური აქცია და ქართველი საზოგადოება გაიგებს ყველაფერს“.

„რატი ბერგაძე ამბობს, რომ „ალტ ინფოს“ გაუქმების გადაწყვეტილება ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე მიიღო.

მისი განცხადებით, პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციისას დაშვებული იყო შეცდომა, კერძოდ, მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი ყრილობის შეცვლილი წესდება.

## ნიკა გვარამია: „რუსეთთან მიერთება არ გამოვა“



რუსული კანონის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციას პარტია „ახალის“ ლიდერი ნიკა გვარამიაც უერთდება. ოპოზიციონერი ლიდერი ამბობს, რომ საქართველო დღესაც იგივე შინაარსის ბრძოლაშია, რომელშიც 35 წლის წინ იყო, თუმცა, რუსეთთან მიერთება არც ამჯერად გამოვა.

35 წლის წინ ჩვენი თანამედროვეები, ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანები, იდგნენ აქვე ახლოს დღეების განმავლობაში, რუსულ ტანკებსაც გაუძლეს, 20 ადამიანი შეეწირა ამას. დღეს ეს აღარ მოხდება, არანაირი მსხვერპლი აღარ იქნება, არანაირი ტანკები არ იქნება, სხვა ტიპის ბრძოლაა დღეს საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ იგივე შინაარსის, რუსეთთან მიერთების სურვილისა და დიდი ძალისხმევის, მაგრამ ეს არ გამოვა, – ამბობს გვარამია.

9 აპრილიდან ზუსტად 35 წლის თავზე საქართველოს მოქალაქეები დღეს „ოცნების“ რუსული კანონის და ხელისუფლების რუსული პოლიტიკის წინაალმეგ სამოქმედო გეგმასაც გაასაჯაროებენ. უკვე დაანონსებულია, რომ პროტესტი და აქციები იქნება ყველგან და იქამდე, ვიდრე რუსულ კანონს უკან არ გაიწვევენ.

## დააკავეს X2 Development-ის დირექტორი, რომელმაც ქალზე იძალადა



დააკავეს სამშენებლო კომპანია X2 Development-ის დირექტორი და მთავარი მეწილე ვალერიან კირკიტაძე, რომელმაც ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფორმულას უთხრეს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

ძალადობის ამსახველი ვიდეო Facebook-ზე სოფია მეფარიშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, კომპანიის აშენებულ კორპუსში ლიფტით დედასთან ერთად მგზავრობდა, რა დროსაც ლიფტი მოწყდა და ორი სართულით ქვევით ჩავარდა. მეფარიშვილი ამბობს, რომ კომპანიის ოფისში ამის გასარკვევად მივიდა, მასზე კი დირექტორმა იძალადა.

კომპანია X2 Development-ის განცხადებით, ძალადობას ემიჯნებიან და გმობენ. მათი თქმით, გამოძიებასთან თანამშრომლობენ და ყველა ვიდეომასალა, რომელიც ძალადობას ასახავს, გამოძიებას მიაწოდეს.

მათი მტკიცებით, „ინციდენტს წინ უძღოდა სოფია მეფარიშვილის მიერ X2-ის თანამშრომელ გოგოზე თავდასხმა და ფიზიკური შეურაცხყოფა“.

– ამის გამო, ჩვენს თანამშრომელს დასჭირდა სამედიცინო დახმარება და გამოძახებული იქნა სასწრაფო და საპატრულო ეკიპაჟი, შედგა ინციდენტის ამსახველი ოქმი და დაიწყო გამოძიება. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, სოფია მეფარიშვილის მიერ ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ პროვოკაციულ ქმედებებს და ჩვენი კომპანიის იმიჯის, რეპუტაციისა და ქონების შელახვას, – ნათქვამია განცხადებაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბილავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## 47 წლის ქართველი კაცი იტალიაში საკვების მოპარვისთვის დააკავეს



იტალიაში, დააკავეს ქართველი კაცი, რომელიც სუპერმარკეტებიდან საკვებ პროდუქტებს იპარავდა.

პოლიციის ინფორმაციით, საეჭვო ქმედება მაღაზიის დაცვამ შენიშნა. პოლიციის მისვლამდე კიდევ ორმა ექვმიტანილმა გაქცევა მოახერხა.

47 წლის ქართველი კაცი სამხედროებმა დააკავეს და ყაზარმაში გადაიყვანეს.

## „ხელს ურტყამენ 70 წლის კაცს, ამათ რა უნდა მოვთხოვო“ — ოჯახი პოლიციას ძალადობაში ადანაშაულებს

ახალგაზრდა კაცი პოლიციის თანამშრომლებს ძალადობასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს. მალხაზ გიორგაძე გასულ ღამეს კუთვნილი ავტომობილით გადაადგილდებოდა, საპატრულო პოლიციამ მისი გაჩერება სცადა, თუმცა, ის პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილა.

დაზარალებული ყვება, რომ პოლიცია საცხოვრებელ სახლში წაჰყვა, შეიჭრნენ მის ბინაში და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მას და მის ხანშიშესულ მამას.



ოჯახის ცნობით, ჩხრეკის ორდერის არარსებობის მოუხედავად, პოლიციის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს ბინა. ნაცემი კაცი კლინიკა „ვივამედშია“ გადაყვანილი.

– საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს დევნა და მაშინ, როდესაც მანქანა უკვე გაჩერებული იყო მისამართზე და დაკავებული პირი იმყოფებოდა მის საცხოვრებელ ადგილზე, სამზარეულოში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შეცვივდნენ კერძო საკუთრებაში, დაკავებულის მამამ განუცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება ტერიტორიაზე ყოფნის და მოსთხოვა დაეტოვებინათ ტერიტორია, რა დროსაც საპატრულო პოლიციის მხრიდან მოხდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება დაკავებულის მამაზე, კერძოდ, სახეში ხელის გარტყმა და შუბლზე იარაღის მიბჯენა, ამავე დროს უხეშად შელებულ იქნა სამზარეულოს კარი და სრულიად უკანონოდ მოხდა პირის დაკავება, – ამბობს ადვოკატი, ნათელა სივსივაძე

მანანა გიორგაძე, დაზარალებულის დედა ჰყვება, რომ სახლში არ შეუშვეს და პოლიციამ ბინა გაჩხრიკა.

– ჩემი ქმარი ტიროდა, რომ ხელი დამარტყესო, 70 წლის არის ჩემი ქმარი, შვილს გადაელობებოდა წინ მამა, როცა არ არის დამნაშავე, და ხელს ურტყამენ 70 წლის კაცს, ამათ რა უნდა მოვთხოვო, რა პასუხი უნდა მოვთხოვო, – ამბობს ქალი.

## „4 პირს იძულებით ამუშავებდა საკუთარ ფერმაში“

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ტრეფიკინგის ბრალდებით 1981 წელს დაბადებული ნ.გ. დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ადამიანებით ვაჭრობის სქემა შეიმუშავა.

– აღნიშნულის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, ოთხ პირს ფსიქოლოგიური



ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, მის კუთვნილ ფერმაში ამუშავებდა. ბრალდებული დაზარალებულებს ტერიტორიის დატოვებასა და მობილური ტელეფონით სარგებლობას უკრძალავდა.

შსს წერს, რომ ნ.გ ოთხივე მათგანს აიძულებდა, მისი ნებისმიერი მითითება შეესრულებინათ, თუნდაც ეს ფერმაში მუშაობასთან დაკავშირებული არ ყოფილიყო.

– იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულის მოთხოვნების შესრულებაზე უარს იტყოდნენ, ან ის უკმაყოფილო დარჩებოდა შესრულებული სამუშაოთი, მათ ფიზიკურად უსწორდებოდა, – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება სსსკ-ის 143-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 15-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მარნეულში კაცმა ყოფილი ცოლი დაჭრა

მარნეულში კაცმა ყოფილი ცოლი დანით დაჭრა. ქალს სხეულზე მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული.

ქალის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა და მართვით სუნთქვაზე იმყოფება. 44 წლის კაცმა ყოფილი ცოლი სამსახურში მიმავალ გზაზე გააჩერა და დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი ქალი სასწრაფო დახმარების მანქანით კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. შსს-ის ცნობით, დაჭრაში ბრალდებული დაკავებულია და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# „ერთპარტიულობა უნდა დასრულდეს!“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ხალხში დაგროვილი უარყოფითი ენერგია შეიძლება ისე აფეთქდეს, რომ ვერავინ და ვერაფერმა შეაჩეროს. მერე „ოცნებას“, რუსეთის გარდა, არსად ექნება წასასვლელი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, „ქართულმა ოცნებამ“ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ახლა დაინიცირება რატომ გადაწყვიტა?***

– ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. არც მოცემულობა არ არის ცალსახა. რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამ კანონპროექტს ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ და, საერთოდ, ყოველი მხრიდან. მიუხედავად ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ ვაბანკზე წასვლა გადაწყვიტა. რატომ? რთული სათქმელია. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ რამდენიმე მიზეზით უნდა იყოს ეს განპირობებული:

პირველი, წინასაარჩევნოდ ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციას თავისი დღის წესრიგი შესთავაზოს და საკუთარ ველზე გადმოიყვანოს. ამიტომ სთავაზობს იმ თემებს, რაც მას აწყობს. რა თემებია ეს: ელჯიბიტი თემა, მოსამართლეებისა და აღნიშნული კანონპროექტი.

***– თუმცა, ამ კანონპროექტზე ძალიან ღელავს საზოგადოება და ამ საზოგადოების განწყობები იცის ხელისუფლებამ.***

– დიახ, ასეა, მაგრამ შარშანდელისგან განსხვავებით, ახლა ხელისუფლება ცდილობს, პროპაგანდა შეცვალოს და თქვას – არასამთვარობო სექტორი გამჭვირვალობაზე ამბობს უარს. ეს კანონი მოქმედებს ამერიკაშიც და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც, რომ გამჭვირვალობა თავისი არსით დასავლური ღირებულებაა და არა რუსული და ამაზე ამბობენ უარს.

***– რამდენად დაიჯერებს ამას საზოგადოება?***

– ეს სხვა საკითხია. ვნახოთ, დაიჯერებს თუ არა.

***– თუმცა, ამ კანონის საპირწონედ დასავლეთმა ხელისუფლებას უთხრა – ან ეს კანონი ან ევროინტეგრაცია. თუ აცნობიერებენ მოვლენათა ასეთ განვითარებას რა შეიძლება მოყვეს?***

– აქ უმთავრესი არის ძალაუფლების შენარჩუნება და ამ გადმოსახედიდან ხელმძღვანელობს „ქართული ოცნება“. მათ იციან, რომ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ, ამიტომ საჭირო არის მოქმედება ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. ამიტომ შეტევაზე გადადიან. ოპოზიციის წელში გადატეხვას ცდილობენ, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, ასეთი სუსტი, ასეთი ფრაგმენტირებული, ასეთი დაშლილი ოპოზიცია დიდი ხანია არ ყოფილა. პარალელს გავავლებდი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ბოლო პერიოდთან, როდესაც ოპოზიცია იყო ძალიან სუსტი და მაშინდელი ხელისუფლება მაინც ცდილობდა მის წელში გადატეხვას.

„ქართული ოცნება“ ცდილობს, თავისი უძლეველობა ყველას აჩვენოს – საზოგადოებას, ოპოზიციას, შინ თუ გარეთ. არ დავთმობთ – ასეთია მათი განწყობა.

***– მიიღებენ?***

– აუცილებლად მიიღებენ. პარლამენტის უბრალო უმრავლესობა არის საჭირო და მარტივად მიიღებენ კანონს. თუმცა, დროში გაწელავენ პროცესს. იქნება პატრა-პატარა აქციები. ოპოზიცია ამაზე ილაპარაკებს მუდმივად. ერთი სიტყვით, „ოცნების“ მიზანია, ამ პროცესში საზოგადოება დაღალოს, ოპოზიციასთან ერთად. ოპოზიცია გაიყვანოს ქუჩაში და დაღლილი, მარგინალიზებული მიიყვანოს არჩევნებამდე. ამასობაში კი გვერდით დარჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის, ცხოვრების დონის ხარისხი,



ეკონომიკა, ხელფასები, სოციალური მდგომარეობა, ქვეყნის კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა და ა.შ. ის საკითხები, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს.

***– ფიქრობთ, ხალხი არ გამოვა?***

– გამოვა, მაგრამ საჭირო არის სულ სხვაგვარი მოქმედება, შარშანდელი პროტესტისგან განსხვავებით. ოპოზიციამ უნდა შეძლოს საპროტესტო მუხტის შენარჩუნება და ამ განწყობით ელექტორატის არჩევნებზე მიყვანა. მაშინ ამ ბრძოლას ოპოზიცია მოიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძოლას ყველა ერთად წავაგებთ. შეიძლება ხელისუფლებამ წელსაც გაიწვიოს ეს კანონპროექტი, ესეც არ არის გამორიცხული, გააჩნია ვითარებას, მაგრამ მომავალ წელს კვლავ შემოიტანს და რა განსხვავება იქნება?! არაფერი. ამიტომ ვამბობ, საჭირო არის არჩევნებზე ვერცერთმა პარტიამ ვერ შეძლოს უმრავლესობის მოპოვება. ერთპარტიულობა უნდა დასრულდეს. კოალიციური მთავრობა უნდა დავაკომპლექტოთ.

შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ ამ არჩევნებზეც შეინარჩუნოს ძალაუფლება, მაგრამ ხალხში დაგროვილი უარყოფითი ენერგია მერე შეიძლება ისეთ უმნიშვნელო საკითხზე გადმოილვაროს, ისე აფეთქდეს, რომ ვერავინ და ვერაფერმა შეაჩეროს. მერე „ოცნებას“ მართლა არსად ექნება წასასვლელი, რუსეთის გარდა. ამაზე უნდა დაფიქრდნენ.

## „ოცნების“ ლიდერები, რომლებიც 9 აპრილის შემდეგ ისევ კომუნისტურ რეჟიმს ემსახურებოდნენ

„ქართულ ოცნების“ ლიდერების ნაწილი, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენების შემდეგ, კომუნისტურ პარტიაში დარჩა და ისევ სისტემას ემსახურებოდა, ამას მათ მიერ პარლამენტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიები ადასტურებს.

რიმა ბერაძე – ამჟამად ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, 1985-1991 წლის ჩათვლით რაიკომის მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა.

გიორგი ვოლსკი – პარლამენტის ვიცესპიკერი, ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 1984-1990 წლებში იყო საქართველ[illegible], საქალაქო და ცენტრალური პარტიული ორგანიზაციების [illegible], ინსტრუქტორი.

გია ბენაშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 1988-1991 წლებში სსრ უშიშროების კომიტეტის ოპერთანამშრომელი იყო.

ავთანდილ ენუქიძე – ვიცესპიკერი – ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“ 1988 – 1990 წლებში რკინიგზის თბილისის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო.

## „აშშ-მა უკრაინას დამატებითი საბრძოლო მასალა გადასცა“

აშშ-ის მთავრობამ უკრაინის შეიარაღებულ ძალებს 5000-ზე მეტი AK-47ს, ტყვიამფრქვევი, შაშხანა, RPG-7 და 50 0000-ზე მეტი საბრძოლო მასალა გადასცა. ამის ინფორმაციას აშშ-ის ცენტრალური სარდლობა X-ზე ავრცელებს.

აშშ-ის ცენტრალური სარდლობა წერს, რომ ის საბრძოლო მასალა, რომელიც უკრაინას გადაეცა – 2021 წლის მაისიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში ჩამოართვეს გემებს, რომლებსაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევით ჰუსიტ მეამბოხეებს გადაჰქონდათ ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსიდან.

– ეს იარაღი დაეხმარება უკრაინას რუსეთისგან თავის დაცვაში. აშშ მოწოდებულია, იმუშაოს ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, რათა დაუპირისპირდეს ირანის ლეტალური დახმარების ნაკადს რეგიონში ყველა კანონიერი საშუალებით, მათ შორის, აშშ-სა და გაეროს სანქციებითა და აკრძალვებით. ირანის მხარდაჭერა შეიარაღებული ჯგუფებისთვის საფრთხეს უქმნის საერთაშორისო და რეგიონულ უსაფრთხოებას, ჩვენს ძალებს, დიპლომატიურ პერსონალს და რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს, ისევე, როგორც ჩვენს პარტნიორებს, – ნათქვამია განცხადებაში.

## ვის შეიძლება ჩამოეწეროს საგადასახადო დავალიანება

– საგადასახადო შეღავათებს სისტემური სახე არ უნდა ჰქონდეს, – ასე ეხმაურება „ბიზნესპრენიუსთან“ მთავრობის დღევანდელ გადაწყვეტილებას ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტი ვახტანგ ჭარაია.



ცნობისთვის, 145 ათას ფიზიკურ პირსა და ინდ. მეწარმეს 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება სრულად ჩამოეწერებათ.

როგორც ვახტანგ ჭარაია განმარტავს, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ბიზნეს სექტორისთვის მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკაა. მიუხედავად ამისა, თითოეული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს რეალურ საჭიროებას. კერძოდ, საგადასახადო დავალიანება განპირობებული უნდა იყოს გაუთვალისწინებელი შემთხვევებით და ამასთანავე, პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, რამაც ჯარიმის დაკისრება გამოიწვია, უნდა იყოს გამონაკლისი.

– უნდა ეფუძნებოდეს რეალურ საჭიროებას, მაგალითად ისეთს, რომ ბიზნესსექტორს არ ძალუძს ამ თანხის გადახდა ან ჯარიმა გამოიწვია გაურკვეველმა და გაუთვალისწინებელმა შემთხვევებმა, ან სულაც მისმა შეცდომამ. მაგრამ უშვებს არა სისტემატურად, არამედ გამონაკლისის სახით. ამ დროს სახელმწიფოს შეუძლია, გამოიყენოს თავისი საგადასახადო შეღავათის დაწესების ინსტრუმენტი და ბიზნეს სექტორს ეს პოზიტიურად წაადგება, – განაცხადა ჭარაიამ.

კითხვაზე, როგორ აისახება ფიზიკურ პირებზე საგადასახადო ჯარიმების ჩამოწერა, ეკონომიკის საკითხებში ექსპერტი ამბობს, რომ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ჯარიმებზეა საუბარი. დღევანდელ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრს დეტალების შესახებ განმარტებები არ გაუკეთებია, თუმცა, თქვა, რომ „ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდ. მეწარმეებს სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი, აღიარებული საგადასახადო დავალიანება, მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით“. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, საუბარი იყო ნებისმიერი ტიპის ჯარიმაზე, მათ შორის, საპატრულოზე.

– გააჩნია რა ტიპის ჯარიმებზეა საუბარი. ფიზიკური პირების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ჯარიმა, როგორიც იყო კოვიდის დროს სახლიდან გაუსვლელობის დროს. თუ ასეთზე არ არის საუბარი, მაშინ შეიძლება პატრულის ან ნებისმიერი ტიპის ჯარიმა იყოს, – თქვა ვახტანგ ჭარაიამ.

დაბოლოს, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას არ უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი, რათა შემდგომ კონკრეტულ პირს ან ბიზნესს არ გაუჩნდეს მოლოდინი, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში სახელმწიფო დავალიანებას ჩამოაწერს.

– ეს არ უნდა იყოს სისტემატური ხასიათის მქონე აქცია სახელმწიფოს მხრიდან. ხაზს ვუსვამ იმას, რომ ამან არ უნდა გააჩინოს განცდა ბიზნესსექტორში, რომ თუ ცოტა ხანი თავს აარიდებს ვალის გადახდას, სახელმწიფოს დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაუბრუნებენ ჯარიმას, – აღნიშნავს ვახტანგ ჭარაია.

# საქართველოში საპროტესტო აქციები დააანონსეს

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის განხილვას 15 მარტს გეგმავს. მომავალში ნავარაუდევია მისი გატანა პლენარულ სხდომაზე.**



## შარშანდელი პროტესტის გაგრძელება

როგორც ჩანს, პროტესტი კანონპროექტის წინააღმდეგ გამწვავდება.

შეგახსენებთ, რომ სკანდალური კანონპროექტი პარლამენტში მეორედ დაინიცირდა. მისი შინაარსი არ შეცვლილა, ტერმინი „უცხო გავლენის აგენტი" ჩანაცვლდა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლით".

გამოსვლები გაცოცხლებული პროექტის წინააღმდეგ დაწყებულია. სამოქალაქო სექტორი და მედიის ის ნაწილი, რომელიც გარკვეულ უცხოურ დაფინანსებას იღებს, აცხადებს, რომ არ მიიჩნევს თავს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად" და ამ სახით რეგისტრაციის გავლას არ აპირებს.

შარშან ეს კანონპროექტი უმრავლესობამ პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ შემდეგ, ქუჩის მძლავრი პროტესტის ზეწოლით, უკან წაიღო. მარტის მოვლენები ხელისუფლებისათვის ავად მოსაგონარი გახდა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი – ეს იყო საჭირო პროტესტი, რომელმაც საქართველოს მოუტანა (დეკემბერში) ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი.

დღეს, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის მმართველი პარტია ძველ გზას ადგას და ხელახლა შემოაქვს კანონპროექტი, რომელმაც შარშან მარტში ქვეყანა ლამის ამოაყირავა.

– „ოცნება" დაკავებულია ჩვენი მომავლის საბოტაჟით. გამწვავებისკენ იწვევენ მთელ საზოგადოებას, – აცხადებს პრეზიდენტი ზურაბიშვილი.

ხელისუფლება ძალიან ღიზიანდება, როცა ხსენებულ კანონპროექტს „რუსულ კანონად" მოიხსენებენ. რუსეთში კანონი „უცხოელი აგენტების" შესახებ რამდენიმე წლის წინ მიიღეს. თავიდან რუსეთის კანონი რეპრესიულს ნაკლებად ჰგავდა. ის ითვალისწინებდა გარკვეული ორგანიზაციების რეგისტრაციას. მომავალში მას მიება უამრავი დამატება.

საბოლოოდ, რუსეთში უცხოეთის აგენტებად ცხადდება ყველა, ვინც კრემლის პოზიციას არ იზიარებს. მაგალითად, წარმოშობით ქართველი მწერალი ბორის აკუნინი (ჩხარტიშვილი) არ არის დაკავშირებული უცხოურ ფინანსებთან, მაგრამ ის გამოცხადებულია აგენტად, მტრად, გაყიდვიდან და ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს მისი წიგნები.

საზოგადოება მეორედ შემოტანილ კანონპროექტს კვლავინდებურად „რუსულ კანონად" მოიხსენიებს. პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთში მოქმედი „აგენტების შესახებ კანონი" ცუდია, მაგრამ ფარისევლური მაინც არაა, საქართველოში კიდევ ერთხელ შემოტანილი კანონპროექტი კი – თვალთმაქცობის ნიშნებს შეიცავს.

– „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" კანონპროექტი უფრო რუსულია, ვიდრე რუსული კანონი რუსეთში. რუსეთი უფრო პატიოსნად იქცევა, რადგან ამბობს, რომ ამერიკა და ევროკავშირი ჩემი მტერია, ამიტომ ჩემთვის მიუღებელია ამერიკიდან და ევროკავშირიდან წამოღებული ფულით რუსეთში სამოქალაქო სექტორი იყოს აქტიური. პაპუაშვილი ნერვიულობს, ნუ ეძახით „რუსულ კანონსო". ეს ორჯერ უფრო რუსული კანონია, რადგან ჩვენ ფარისევლები ვართ, რადგან ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამერიკა და ევროკავშირი ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ჩვენი კანონითვე ვსახავთ მტრებად, – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

• • •

## აქციებს „ალტ ინფოც" აანონსებს

ქვეყანაში საპროტესტო აქციებს გეგმავს ასევე ანტიდასავლური „ალტ ინფო". მისი უკმაყოფილება განსხვავებულ თემას ეხება.

საჯარო რესტრმა რეგისტრაცია გაუუქმა კონსერვატიულ მოძრაობა „ალტ ინფოს". პარტიის რეგისტრაციის კანონიერების შესწავლა მოითხოვა ანტიკორუფციულმა ბიურომ. საჯარო რეესტრმა ეს გააკეთა და რამდენიმე დარღვევა აღმოაჩინა.

ეს მოხდა იმ დროს, როცა კონსერვატიული მოძრაობა „ალტ ინფო" საარჩევნო რეგისტრაციას ელოდა და ამისათვის მოსახლეობაში ხელმოწერები შეაგროვა.

კონსერვატიული მოძრაობა რეგისტრაციის აღდგენის მიზნით წევრებსა და მხარდამჭერებს აქტიურობისკენ მოუწოდებს. 13 აპრილს დაგეგმილია აქცია „ქართულ ოცნებასთან". ამის პარალელურად ლიდერები მხარდამჭერებისგან მოითხოვენ „ქართული ოცნების" პარტიული დროშების დაწვას და ამის ვიდეოზე დაფიქსირებას.

ეკონომიკა

# „უცხოელი კურიერები მართვის მოწმობის გარეშე დადიან..."

საქართველოში უცხოელების კურიერად დასაქმების საკითხი უკვე დიდი ხანია, რაც ამ სფეროში მომუშავე ქვეყნის მოქალაქეებისთვის მეტად აქტუალურია, მაგრამ აღნიშნულ საკითხზე თითქმის არავინ საუბრობს.

„ბიზნესპრესნიუსი" თბილისში მომუშავე ქართველ კურიერებს ესაუბრა და გაარკვია, რომ მათ ძალიან ხშირად უწევთ უცხოელებთან ერთად მუშაობა და მათი დახმარება, ვინაიდან ენის არცოდნის გამო, ძალიან უჭირთ შეკვეთის სწორ მისამართზე მიტანა და ხშირად იკარგებიან.



– საქართველოში მომუშავე უცხოელი კურიერების უმეტესობამ ჩვენი ენა თითქმის არ იცის. უმეტეს შემთხვევებში, უჭირთ სწორ მისამართზე შეკვეთის მიტანა და იკარგებიან, ამიტომ თუ შეგვიძლია, ვეხმარებით ხოლმე, – ამბობს ერთ-ერთი საერთაშორისო საკურიერო კომპანიის კურიერი „ბიზნესპრესნიუსთან".

ამას გარდა, ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ეროვნების ადამიანი იწყებს კურიერად მუშაობას და ისინი მზად არიან, რომ ნებისმიერი შეკვეთა, ნებისმიერი ანაზღაურების სანაცვლოდ მიიტანონ სხვადასხვა ლოკაციაზე, რაც ხელს უშლის ქართველ კურიერებს მუშაობაში.

– კურიერებად მუშაობენ ინდოელები, რუსები, უკრაინელები, ყაზახები, აზერბაიჯანელები, თურქმენებიც კი. ინდოელების მუშაობის სტილი განსაკუთრებით განსხვავებულია. როდესაც ქართველი არჩევს, სად და როგორ წაიღოს შეკვეთა, ისინი ყველა შეკვეთას იღებენ, შედეგად, რამდენიმე თვეში ახალ მოპედებსაც ყიდულობენ. ხშირად ინდოელი გოგონებიც შემინიშნავს კურიერებად. საბოლოოდ, იმ პირობებში, როდესაც ისედაც არაა მუშაობა, უფრო რთული ხდება თანხის გამომუშავება, – ამბობს რესპონდენტი.

კურიერები ამბობენ, რომ უცხოელების დიდი ნაწილი მართვის მოწმობის გარეშე მოძრაობს და ამასთან დაკავშირებით, პოლიცია არაფერს აკეთებს.

– უცხოელი კურიერები ბასლაინზეც დადიან, თანაც უმეტესობას მართვის მოწმობა არც აქვს, არც ქართული და არც თავიანთი ქვეყნის, მაგრამ პოლიცია როდესაც აჩერებს, ვერაფერს აკეთებს და ჩვეულებრივ უშვებს, – განაცხადა ქართველმა კურიერმა.

„ბიზნესპრესნიუსი" ქართველების გარდა, თავად უცხოელ კურიერს, თურქმენეთის მოქალაქეს ესაუბრა, რომელიც ძალიან კმაყოფილია საქართველოში მუშაობით, დღეში საშუალოდ 120-140 ლარს გამოიმუშავებს, თურქეთში სწავლის ფულს აგროვებს, ცხოვრობს 3 თანამოქალაქესთან ერთად, აქვს თურქმენეთის მართვის მოწმობა და აღნიშნავს, რომ საქართველო მისი ქვეყნის ახალგაზრდებისთვის საკმაოდ პოპულარული ხდება, რადგან აქ ფულის შოვნა შედარებით მარტივია.

– საქართველოში 4 თვის წინ ჩამოვედი, ჩემს 3 მეგობართან ერთად ვცხოვრობ, სწავლის ფულს ვაგროვებ თურქეთში სასწავლებლად. საშუალოდ დღეში 120-140 ლარს ვშოულობ. მხოლოდ 6-8 საათს ვმუშაობ, მაგრამ ჩემი მეგობრები 16 საათსაც კი მუშაობენ და 180-200 ლარს გამოიმუშვებენ. თურქმენეთის მართვის მოწმობით დავდივარ და პრობლემა არასდროს შემქმნია. თურქმენეთში საქართველო პოპულარულია, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ აქ მარტივად იშოვიან ფულს, რის გამოც სულ უფრო და უფრო მეტი უცხოელი ჩამოდის, – ამბობს თურქმენეთის მოქალაქე „ბიზნესპრესნიუსთან" საუბარში.

# „9 აპრილი ზეიმის დღე უნდა იყოს!"

გულიკო ბალაძე

**9 აპრილი, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღეა, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა.**

1989 წლის 9 აპრილიდან 35 წელი გავიდა. ამ დღეს რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია რუსულმა საბჭოთა ჯარმა სისხლში ჩაახშო, ორლესული ნიჩბებითა და მომწამვლავი გაზით მომიტინგეები სასტიკად დაარბია. სასტიკი დარბევის შედეგად დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა ბიძგი მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის გაძლიერებას, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ლიდერის ზვიად გამსახურდიას გამარჯვებას.

1989 წლის 9 აპრილი იყო რუსული საბჭოთა იმპერიისაგან გათავისუფლებისთვის ბრძოლის ერთი ეტაპი, რომელიც გაგრძელდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მიერ დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერით და დასრულდა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისას **პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ** დაუვიწყარი სიტყვები წარმოთქვა:

– ... მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ რეფერენდუმში გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე, გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

რატომ გამოაცხადა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ 9 აპრილს, რომელ დღესაც სახელმწიფო გადატრიალების შემდგომი ხელისუფლებები გლოვის დღედ აცხადებენ და არა დამოუკიდებლობის დღედ?

ამ კითხვას ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს იმავე სხდომაზე გასცა პასუხი, რომელ სხდომაზეც დამოუკიდებლობა გამოაცხადა.:

– სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. გფარავდეთ ღმერთი!



ზვიად გამსახურდიას მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას უზენაესი საბჭოს დეპუტატები ტაშით, ოვაციებითა და „საქართველო, საქართველოს" შეძახილებით შეხვდნენ.

1991 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, ყოველ წელს, ამ დღეს ღამის 2 საათიდან მაშინდელი მთავრობის სასახლის (ახლანდელი პარლამენტის) წინ, 9 აპრილის მემორიალთან, ხალხი იკრიბება და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ გმირებს პატივს მიაგებს.

გუშინ. 9 აპრილს, ღამით, 2 საათიდან, პარლამენტის წინ, მემორიალთან ადამიანებმა დაიწყეს შეკრება, რაც დღის განმავლობაშიც გაგრძელდა. 9 აპრილის მემორიალთან მივიდნენ სხვადასხვა პარტიის, ხელისუფლების, ოპოზიციის თუ სამღვდელოების წარმომადგენლები, ქალაქის მერი.

9 აპრილს გამთენიისას, დაღუპული გმირების პატივსაცემად, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სულთმოფენობის ეკლესიის მოძღვარმა, მამა დავით რუხაძემ პარაკლისი გადაიხადა. შემდეგ მამაომ თავის ქადაგებაში განაცხადა:

– ღმერთმა მოიხსენოს და ნათელში ამყოფოს 9 აპრილს ბარბაროსთაგან მოწყვეტილი ჩვენი მამულიშვილები. მადლობა ყველას, აქ რომ მოხვედით და გავიხსენეთ ისინი.

სანამ ქართველი ერი ცოცხალია და ქართველი ერის მკერდში გული ძგერს, მანამდე ვიდგებით ფეხზე, ჩვენ ეს დღე არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, ვინაიდან ამ დღიდან ისტორია შეიცვალა, ბევრი ადამიანის ცხოვრება შეიცვალა.

ზოგადად, სამყარო შეიცვალა. ამ დღემ დასაბამი დაუდო დიდი იმპერიის ნგრევას არა მარტო ჩვენი მასშტაბით, არამედ მთელი საკავშირო მასშტაბით.

ბევრმა ადამიანმა, რომელიც თავის ცხოვრებას სხვანაირად უყურებდა, რომ მომავალში რაღაც კარიერა გაეკეთებინა, თავისი ცხოვრება შეცვალა. იმ დღის შემდეგ, ბევრი სასულიერო პირი გახდა.

ასე რომ, თუ ჩვენ ფეხზე ვდგავართ და საქართველო არსებობს, ეს ამ ხალხის დამსახურებაა, ვინც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და ერის განვითარებისთვის იმ ღამით თავი გასწირა.

9 აპრილი რომ არ დამდგარიყო, დღევანდელ დღეს როგორ მოვიდოდით, არ ვიცი. მე მადლობა მინდა გადავუხადო იმ დღის თითოეულ მონაწილეს. ბევრი ხართ შეკრებილი, ვინც 35 წლის წინ აქ იდექით. ერთმანეთს ვაძლიერებდით, ერთმანეთს ნუგეშს ვცემდით.

ახლა, ჩვენ, დიდი პანაშვიდი აღვასრულეთ. სწორედ ამ დროს დაიწყო ტანკების მოძრაობა, ჯალათების შემოსვლა, ხალხის ჩეხვა და დაწამვლა იმ საშინელი ქიმიური ნივთიერებით, რომლის შესახებ დღემდე არ ვიცით, რა ნიევთიერება იყო გამოყენებული.

ბევრ ადამიანს იმის შემდეგ ფსიქიკა შეერყა, ჯანმრთელობა შეერყა, დღემდე ეპილეფსიური შეტევებით არის ძალიან ბევრი ადამიანი (მე ვისაც ვიცნობ) იმის გამო, რომ საჩვენებელი, ბარბაროსული რაღაც მოაწყვეს, ხალხი რომ შეეშინებინათ. თუმცა, ქართველ ერს ვერასოდეს შეაშინებენ. ქართველების სულისკვეთება ძალიან ძლიერია და ვერ დააჩოქებენ.

ხომ ხედავთ, დღესაც რა ბრძოლები მიდის. ყველანაირად უტევენ იმ ადამიანებს, ვისაც ცოტა ეროვნული აზროვნება შერჩენია. ყველანაირი შეტევაა ჩვენს ერზე, მაგრამ როგორც 9 აპრილს ზნეობრივად გავიმარჯვეთ, ასე იქნება მომავალში გამარჯვებები, თუ ჩვენ ეს დღე არ დაგვავიწყდება.

სანამ ქართველი კაცი ცოცხალია, მას 9 აპრილი არ უნდა დაავიწყდეს, რამდენი წელიც უნდა გავიდეს. მათ შესახებ ჩვენ შვილებს უნდა მოვუყვეთ. უნდა ვესაუბროთ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას თავი შესწირა.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც იმ აქციის მონაწილეა. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ეროვნული მოძრაობის სადავეებთან იდგა: ბატონ ზვიადს, ბატონ მერაბს, ირაკლი წერეთელს, ირაკლი ბათიაშვილს, გია ჭანტურიასა და ყველა იმ ადამიანს, ვინც იმ არნახული ერთობის დროს ერთად იდგა.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: 9 აპრილი არის არა გლოვის დღე, არამედ გამარჯვების დღე. 9 აპრილი ზეიმის დღე უნდა იყოს. 9 აპრილი საზეიმო დღეა. ეს არის საზეიმო დღე, რამეთუ ამ დღეს, შეიძლება, ჩვენ ფიზიკურად რაღაც მარცხი განვიცადეთ, მაგრამ სულიერად ეს დიდი გამარჯვება იყო იმ ვერაგ მტერზე, რომელსაც შემდგომში უკან დახევა მოუწია. ყველა მტერს ასე დაეხიოს უკან საქართველოსა და ყველა ქრისტიანის წინაშე! – განაცხადა მამა დავით რუხაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არ უნდოდათ მენშევიკებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

**1914 წლის 28 ივნისს სერბმა ექსტრემისტმა გავრილო პრინციპმა სარაევოში მოკლა ერცჰერცოგი ფერდინანდი. ეს გახდა ბიძგი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთვის. საქართველოს, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებს, გაუჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი.**

## ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის მცდელობა

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა ფართომასშტაბიანი იყო, საქართველოში არ არსებობდა არც ქართული სკოლა და არც ქართული უნივერსიტეტი. ყველაფერმა ამან დიდი გავლენა იქონია პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებაზე. ყველაზე მრავალრიცხოვან ძალას საქართველოში წარმოადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც აშკარა კოსმოპოლიტურ პოზიციებზე იდგნენ (აქედან მათი დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან). მენშევიკების ასეთი პოპულარობა ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ განაპირობა. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც მოიძებნენ ეროვნული ძალები, რომლებიც დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდნენ. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებიც მტკიცედ იდგნენ ილიასეულ პოზიციებზე. ედპ-მ და ფედერალისტთა ნაწილმა ჟენევაში შექმნეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელმაც კავშირი დაამყარა გერმანიასთან. ედპ ცდილობდა შეექმნა ერთიანი ეროვნული ფრონტი, სადაც გაერთიანდებოდა ყველა ქართული პარტია. ლოზუნგი ერთადერთი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობა.

სწორედ ამ მიზანს მიეძღვნა ქუთაისის კონფერენცია. რეზო გაბაშვილის ცნობით, ის შედგა ვინმე ვასო ფ-შვილის ბინაზე. მასზე მოწვეულნი იყვნენ მენშევიკებიც. ისინი კონფერენციაზე გამოცხადდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადეს ეროვნულ ფრონტში გაერთიანებაზე, რუსეთისადმი ორგულობას ვერ გამოვიჩენთო. ამ ფაქტს თავის მემუარებში ეხება ნოე ჟორდანიაც. ის წერს, რომ შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც თურმე სურს საქართველოს განთავისუფლება გერმანია-ოსმალეთის დახმარებით. შემდეგ ჟორდანია წერს, რომ მან ამაზე უარი განაცხადა, თუმცა უთხრა ეროვნულ-დემოკრატებს: იმუშავეთ თქვენს კომიტეტში, შესაძლოა, თქვენი ხაზიც გამოგვადგეს.

❖ ❖ ❖

## ქართული პოლიტიკური სპექტრის პოზიცია

ამრიგად, ეროვნული ფრონტის შექმნა ჩაიშალა. ქართველი სოციალ-დემოკრატები არ იყვნენ რუსეთის ბრმა მომხრენი. მათი პოზიცია იყო ფრთხილი და მომლოდინე. შემდგომში თავად მენშევიკების შიგნით გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა ჯგუფი, თუმცა ჟორდანია ბოლო მომენტამდე თავს იკავებდა ამ იდეის აღიარებისგან.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში გაერთიანებული ძალები ცდილობდნენ აქტიურად ემოქმედათ. ომის დაწყებისთანავე კომიტეტი გადაბარგდა ბერლინში. შეიქმნა ქართული ლეგიონი, რომელიც გერმანელთა მხარეს იბრძოდა. მას ლეგენდარული ლეო კერესელიძე მეთაურობდა. ლეგიონი 1.500 ჯარისკაცს ითვლიდა.

❖ ❖ ❖

## ქართული ოფიცრობა და პირველი მსოფლიო ომი

რევოლუციამდე ბევრი ქართველი სამხედრო კარიერას ირჩევდა. ამიტომაც საქართველოს ჰყავდა ბრწყინვალე ოფიცერთა კორპუსი. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებდნენ რუსეთის იმპერატორისადმი მიცემულ ფიცს. შემდგომში ეს ხალხი ასევე თავდადებით ემსახურებოდა დამოუკიდებელ საქართველოს.

პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სიმამაცეზე რუსეთის არმიაში ლეგენდები დადიოდა. ქაქუცა ორჯერ იყო დაჭრილი. მან თავი ისახელა სარიკამიშის ბრძოლაში (1914, ნოემბერი), გამოჩენილი სიმამაცისათვის მას ოქროს ხმალი უბოძეს. გენერალი იუდენიჩი ქაქუცაზე წერდა: „ამ კაცმა არ იცოდა, რა იყო შიში და ყოყმანი, მისთვის არ არსებობდა ცნება, არ შემიძლია. ჩოლოყაშვილი ყველაზე ფანტასტიკურ დავალებებს ბრწყინვალედ ასრულებდა". პოლკოვნიკი ომელიანოვიჩ-პავლენკო (შემდგომში დამოუკიდებელი უკრაინის არმიის გენერალი): „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს იცნობდნენ როგორც კავკასიის, ისე დასავლეთის ფრონტზეც. მე ის წარმოდგენილი მყავდა ზღაპრულ დევგმირად, რომლის წინაშეც ყველა უძლურია".

არანაკლები ლეგენდები დადიოდა გიორგი მაზნიაშვილის შესახებაც. მან თავი ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამოიჩინა, როდესაც დაიმსახურა გიორგის ჯვარი. მაშინ მაზნიაშვილის სიმამაცე პირადად ნიკოლოზ II-მ აღნიშნა. პირველი მსოფლიო ომის დროს მაზნიაშვილი ვარშავასთან ბრძოლისას დაიჭრა. მან კვლავაც დაამტკიცა, რომ მამაცი და ჭკვიანი მეთაურია.

იგივე შეიძლება ითქვას გიორგი კვინიტაძის შესახებაც, რომელმაც არაერთ ბრძოლაში გამოიჩინა თავი.

❖ ❖ ❖

## თებერვლის რევოლუცია

გაჭიანურებულმა მსოფლიო ომმა ლოგიკურად განაპირობა კრიზისის გამწვავება რუსეთში. საბოლოოდ ეს რევოლუციით დამთავრდა. 1917 წლის თებერვალში რომანოვების დინასტია დაემხო. შეიქმნა დროებითი მთავრობა. იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე დაიწყო ქაოსი.

დროებითი მთავრობა ლიბერალებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა რუსი ლიბერალი ისეთივე შოვინისტია, როგორც მონარქისტები. დროებითმა მთავრობამაც განაგრძო ომი გერმანიასთან, არ მისცა ერებს თავისუფლება და ა.შ. ქართველი მენშევიკები მხარს უჭერდნენ მას, ეროვნულ-დემოკრატები კი საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. რუსეთის არმიის წარმატებები კავკასიის ფრონტზე გამორიცხავდა დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ამიტომაც ედპ-მ დააყენა როგორც ავტონომიის, ისე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ლოზუნგი. ეს უნდა ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთი ეტაპი.

მალე შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), სადაც უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. ოზაკომი ერთგულად ახორციელებდა დროებითი მთავრობის პოლიტიკას საქართველოში, თუმცა ედპ-ს მოღვაწეობამ გარკვეული შედეგები გამოიღო: ოზაკომი დათანხმდა ეგზარქატის გაუქმებასა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას (1917, მარტი). ეროვნული აღორძინების პროცესი საქართველოში გრძელდებოდა.

❖ ❖ ❖

## ოსმალეთის აგრესიის საფრთხე

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო.

ბოლშევიკების ბელადი ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი რეალისტი პოლიტიკოსი იყო. ამიტომ აცნობიერებდა, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვება შეუძლებელი იყო ბოლშევიკური ჯარის (წითელი არმია) და საიდუმლო პოლიციის (ჩეკა) გარეშე. ამ სტრუქტურების შესაქმნელად კი დრო იყო საჭირო. ლენინიც წავიდა ბრესტის შეთანხმებაზე. ის ამიერკავკასიის ოსმალეთისთვის გადაცემას დაყაბულდა. მენშევიკები დაიბნენ. მართალია, მათ განაიარაღეს ბოლშევიკური ნაწილები და არ დაუშვეს ლენინელთა პუტჩი, მაგრამ ვერ შეაფასეს საგარეო მდგომარეობა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება და დახმარებისთვის გერმანიისთვის მიმართვა. მართალია, გერმანია და თურქეთი მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ გერმანელებს თავიანთი ინტერესი ჰქონდათ კავკასიაში და თურქების გაზრდილი მადა სულაც არ მოსწონდათ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება და საქართველოში გერმანელთა [illegible]ების განლაგება გაანეიტრალებდა თურქების ამბიციებს. სწორედ ამას მოითხოვდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მენშევიკებმა ამას ყური არ ათხოვეს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების ნაცვლად, მათ შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი. აქ ქართველებთან ერთად გაერთიანდნენ პრორუსულ პოზიციაზე მდგომი სომხები და პროთურქი აზერბაიჯანელები. კომისარიატი დარჩა ამორფულ სტრუქტურად, რომელსაც არ შეეძლო ქმედითი ღონისძიების გატარება.

გერმანული დიპლომატია ცდილობდა თურქების განეიტრალებას. გერმანელთა ზეწოლით, თურქეთმა განაცხადა, რომ შესაძლებელია კომისარიატთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება, თუკი ეს უკანასკნელი ამიერკავკასიის რუსეთისგან დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. კომისარიატი ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. ის რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას უცდიდა. თურქეთმა ამით ისარგებლა და ფრონტზე შეტევა განაახლა.

მენშევიკები ძველ პოზიციაზე იდგნენ: „არ ვცნობთ ბოლშევიკურ გადატრიალებას, მაგრამ ვაღიარებთ რუსეთის მთლიანობას". საქართველო არ ჩაება ბრესტის სამშვიდობო პროცესში, როგორც ეს გააკეთეს უკრაინამ, ბელორუსიამ და ლიტვამ. მალე შეიქმნა ახალი ამორფული სტრუქტურა – ამიერკავკასიის სეიმი. აქ ყველაზე ძლიერი ფრაქცია ჰყავდათ მენშევიკებს (32), შემდეგ იყვნენ მუსავატელები (30) და დაშნაკები (27). სეიმი უძლური იყო თურქული აგრესია შეეჩერებინა. ძველი რუსული არმია კი ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად მთლიანად დაიშალა.

ბრესტის ზავი თურქებს ხელ-ფეხს უხსნიდა. მართალია, 1918 წლის თებერვალში სეიმმა დაიწყო მოლაპარაკება თურქეთთან, მაგრამ ამას



შედეგი არ მოჰყოლია. 1918 წლის 1 აპრილს თურქეთის არმიამ შეტევა განაახლა და საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე შემოიჭრა. თურქებმა დაიკავეს ახალციხე, ახალქალაქი, ოზურგეთი და თბილისისკენ დაიძრნენ.

შექმნილ ვითარებაში სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა (1918, აპრილი), მაგრამ თურქების შესაჩერებლად ეს არ კმაროდა. მართალია, 11 მაისს ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკება განახლდა, მაგრამ შედეგი კვლავ ნულის ტოლი იყო. თურქები თბილისისკენ მოდიოდნენ.

❖ ❖ ❖

## დამოუკიდებლობის გამოცხადება

ამრიგად, საქართველო დადგა არჩევანის წინაშე: ან ოსმალური ოკუპაცია, ან დამოუკიდებლობის გამოცხადება და დახმარებისთვის გერმანიისთვის მიმართვა. მენშევიკები მხოლოდ ასეთ ვითარებაში წავიდნენ დამოუკიდებლობის აღდგენაზე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების დაახლოებისა და ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე შეიქმნა. თურქულმა აგრესიამ განაპირობა ის, რომ მენშევიკები, რომლებიც მანამდე კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ დამოუკიდებლობის, ახლა მხარს უჭერდნენ მას. კრიტიკულ მომენტში სწორედ ეროვნული საბჭო გახდა ქართული პოლიტიკური სპექტრის მაკონსოლიდირებელი ორგანო. ამიტომ მას შეეძლო საქართველოს დროებითი პარლამენტის როლის შესრულება.

1918 წლის 26 მაისს თბილისში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის ყვითელ დარბაზში, შედგა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. 17 საათსა და 10 წუთზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. საქართველო დამოუკიდებელ სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადდა. აქტის რუსული თარგმანი წაიკითხა გრიგოლ ვეშაპელმა, ქართული ტექსტი კი რცხილაძემ სასახლის აივნიდან გააცნო იქ შეკრებილ უამრავ ხალხს.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო აღსდგა.

❖ ❖ ❖

## პირველი მსოფლიო ომის დასასრული

გერმანიამ უმალ აღმოუჩინა დამოუკიდებელ საქართველოს დახმარება. ოსმალთა წინსვლა შეჩერებულ იქნა. საქართველო გადაურჩა თურქულ უღელს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გერმანელებმა დაიკმაყოფილეს თავიანთი ინტერესები საქართველოში. ისინი არ ერეოდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში. თავის მემუარებში ამას ხაზგასმით აღნიშნავს თავად ნოე ჟორდანია. ის აღიარებს, რომ თავდაპირველად მენშევიკურ მთავრობას გააჩნდა ერთგვარი უნდობლობა გერმანელებისადმი. „ჩვენ სოციალისტები ვიყავით, ისინი კი აზნაურები და მონარქისტები", – წერს ჟორდანია. როგორც ჩანს, ქართველი მენშევიკების შიში გაამძაფრა უკრაინაში დატრიალებულმა მოვლენებმა. იქ გერმანელებმა გარეკეს ცენტრალური რადა და სრულიად უკრაინის ჰეტმანად გენერალი სკოროპადსკი გამოაცხადეს. „უკრაინაში გაბატონდა რეაქცია", – წერდა „ერთობა".

საქართველოში უკრაინული სცენარის განმეორების შიში ნამდვილად არსებობდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მენშევიკებმა უარყვეს გერმანელთა წინადადება ორი რკინის დივიზიის შექმნის შესახებ. გერმანია საკუთარ თავზე იღებდა საქმის ფინანსურ მხარეს. მენშევიკებმა ეს წინადადება უარჰყვეს, რადგან ქართველ ოფიცერთა უმრავლესობა თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული. ამ ძალის შეიარაღება-გაძლიერება კი მენშევიკებს სახიფათოდ მიაჩნდათ. თუმცა გერმანიამ არ განახორციელა არავითარი ზეწოლა ქართულ მთავრობაზე. ჟორდანიას უარი მათ მშვიდად მიიღეს. ამ დროს გერმანელებს სხვა საზრუნავიც ბევრი ჰქონდათ.

1918 წლის შემოდგომაზე პირველი მსოფლიო ომი დასრულდა. გერმანიამ, ჩვენი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესმა გეოპოლიტიკურმა მოკავშირემ, დაიწყო ამიერკავკასიის დატოვება. იქმნებოდა ახალი გეოპოლიტიკური ვითარება.

# თემურ თათარაშვილი მონატრებულ მსმენელს შეხვდება



19 აპრილს მომღერალი თემურ თათარაშვილი მონატრებულ მსმენელს შეხვდება და ვახტანგ სარალიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს.

„მე სანამ შენამდე მოვედი" – ასე ჰქვია კონცერტს, სადაც მომღერალი ყველასათვის საყვარელ და ნაცნობ ჰიტებთან ერთად ახალ სიმღერებსაც შეასრულებს.

თემურ თათარაშვილის მიერ კონცერტის ჩატარების მიზანი მისი შემოქმედებითი განვლილი გზაა – 42 წელი სცენაზე და შეხვედრა მონატრებულ მაყურებელთან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**მალამო მენტორი პირველი**

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.
**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

**მალამო მენტორი ხუთი**

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

**მალამო მენტორი ოთხი**

**მალამო მენტორი ოთხი საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური სამკურნალო მცენარეებისგან არის დამზადებული. იგი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** დაზიანებული მშრალი კანის გამონაყარის, ფსორიაზის, კანის დაავადებების, ქავილის სამკურნალოდ. მალამო უნდა შევიზილოთ მტკივნეულ, დაზიანებულ ადგილებში დღეში ორჯერ. მკურნალობისას ქრება ტკივილები, ქავილი, გამონაყარი. მალამოს შეძენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე: ჭავჭავაძის სამების სახელობის ეკლესიის მაღაზიაში და საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიის მაღაზიაში.

**ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.**

# ბაიდენის ახალი ინიციატივა



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ახალი ინიციატივით გამოვიდა. მან სტუდენტებისათვის გაცემული კრედიტების გაუქმება მოითხოვა.

ბაიდენს სურს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ სტუდენტები მიიმხროს.

# თეთრმა სახლმა კონგრესი უმოქმედობაში დაადანაშაულა



თეთრი სახლის პრესმდივანმა ჟან-პიერმა განაცხადა, რომ კონგრესი აგვიანებს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღებას. შედეგად უკრაინელებს ფრონტზე პრობლემები შეექმნათ.

სწორედ კონგრესის უმოქმედობამ განაპირობა ის, რომ უკრაინა იძულებულია, ფრონტზე რიგი პოზიციები დათმოს.

# როდის გახდება უკრაინა ნატოს წევრი?



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მეტიუ მილერმა განაცხადა, რომ უკრაინა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი აუცილებლად გახდება.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ნატოში უკრაინა შევა

რუსეთთან ომის დამთავრების შემდეგ.

# რუსეთს ხარკოვის განადგურება სურს



უკრაინის სახმელეთო ძალების სარდალმა, გენერალმა პავლიუკმა განაცხადა, რომ რუსმა ოკუპანტებმა ხარკოვის აღება ან ალყაში მოქცევა ვერ შეძლეს. დღეს პუტინმა თავის სამხედროებისაგან კატეგორიუად მოითხოვა, რომ ხარკოვი აიღონ. თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ ამაზე მიუგო:

– სამწუხაროდ, დღეს ხარკოვის აღება შეუძლებელია.

რუსეთმაც ხარკოვის დაბომბვები გააძლიერა.

# უკრაინა კვლავ იბომბება

ფრონტებზე დანაკარგების პასუხად, რუსეთმა უკრაინის დაბომბვა განაგრძო. დაიბომბა ქალაქები ხარკოვი, კრივოი-როგი, ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, ნიკოპოლი, დნეპრი, პოლტავა. შედეგად, დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.



უკრაინელებმა პასუხად დაარტყეს დროებით ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიას, კერძოდ, ქალაქებს დონეცკს, სევასტოპოლს, ფეოდოსიას. სევასტოპოლში აფეთქდა ორი რუსული გემი. განხორციელდა დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, ქალაქებზე: კურსკი, ბელგორდი, ბრიანსკი, ვორონეჟი.

უკრაინელებმა რუსეთის ტერიტორიის სიღრმესაც დაარტყეს. ასე მაგალითად, უკრაინული დრონი სარატოვის ოლქს მისწვდა. შედეგად აფეთქდა სამხედრო აეროდრომი და ქარხანა. სხვა დრონებმა ორენბურგის ქალაქ ორსკამდეც მიაღწიეს. შედეგად კვლავ დაინგრა დამბა და ნახევარი ორსკი წყალქვეშ აღმოჩნდა.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 7.087; არტილერია – 11.356; ჰაერსაწინაარნდეგო თავდაცვა – 751; თვითმფრინავები – 347. განადგურებულია 449.250 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ფარგლებში მთელი აფრიკა გადაირბინა



დიდი ბრიტანეთის მოქალაქემ ისტორიაში პირველმა გადასერა აფრიკა სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე. 27 წლის რას კუკმა კვირას, 7 აპრილს, აფრიკის ყველაზე ჩრდილოეთ წერტილს მიაღწია. მთელი კონტინენტის გასარბენად მას 352 დღე დასჭირდა. მისმა გულშემატკივრებმა ტუნისის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან მოიყარეს თავი. სულ ბრიტანელმა 16 ათასი კილომეტრი გაირბინა და 16 ქვეყნის საზღვარი გადაკვეთა. კუკმა არნიშნული გარბენი ქველმოქმედების მიზნით განახორციელა. მას სურდა, ფული ომისგან დაზარალებულ უსახლკაროდ დარჩენილთა დასახმარებლად შეეგროვებინა.

კუკი საქველმოქმედო ორგანიზაციებს 690 ათას ფუნტ სტერლინგს გადასცემს. მისი თქმით, აღნიშნული გარბენი მას ფსიქიკური პრობლემების, ასევე ალკოჰოლიზმთან და თამაშზე დამოკიდებულებასთან გამკლავებაში დაეხმარა.

კუკმა თავისი გარბენი გასული წლის 22 აპრილს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მდებარე იგოლნომის კონცხიდან დაიწყო. თავდაპირველად ის კონტინენტის გადარბენას 240 დღეში გეგმავდა. მას დღეში მარათონული დისტანცია 42 კილომეტრი უნდა დაეძლია. თუმცა, მას გზაში რამდენჯერმე მოუწია გარბენის შეჩერება. მაგალითად, ზურგის ტკივილის გამო ნიგერიაში მოუწია გარკვეული ხნით გაჩერება. ანგოლაში კი კუკი და მთელი მისი გუნდი გაძარცვეს. შეიარაღებულმა ხალხმა მათ მთელი ფული, ინვენტარი და პასპორტები წაართვა. მოგვიანებით კი კუკს ალჟირში შესვლის უფლება არ მისცეს, ვიზის არქონის გამო. პრობლემა მხოლოდ საქმეში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ჩარევის შემდეგ მოგვარდა. ამ ყველა დაბრკოლების დაძლევის შემდეგ კუკმა ფინიშის ხაზს 352 დღის შემდეგ მიაღწია.


## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავებაშეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ.: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

● მაგიური მომსახურება ფოტოსურათით: ჯადო, თვალი, წყევლა, ენერგოვამპირებისგან გათავისუფლება, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები, აგრესია, აკვიატება, დეპრესია, შებოჭილობა, პესიმიზმი, კოშმარული სიზმრები, თვითმკვლელობის სურვილი, დაუმორჩილებლობა, სწავლის უარყოფა, მოძალადის ან მტრის დაწყნარება-ჩამოშორება, ბედის გახსნა, გაუმართლებლობა, ცოლ-ქმრული და სასიყვარულო ურთიერთობები, ჩაკეტილი მამაკაცობა. გამოცდილება მრავალწლიანი, შედეგი გარანტირებული, ფირმა „იადიგარ დაუდი“ (დავით ბაგრატიონი). ტელ: 599-49-84-23, ნანა, ექიმი-პარაფსიქოლოგი.


კალეიდოსკოპი

# ცოცხლად დამარხული ახალშობილი გადარჩა

განაში მიწაში ცოცხლად დამარხულმა ახალშობილმა იქ ექვსი საათი გაატარა და გადარჩა.

ჩვილი გოგონა დედამ, 23 წლის უგანდელმა ქალმა, მშობიარობიდან რამდენიმე წუთის შემდეგ საკუთარ ბაღში გვიან ღამით ჩამარხა. ახალშობილი მხოლოდ მეორე დღეს დილით იპოვეს. ქალის ნათესავებმა ბაღში სისხლიანი ნაკვალევი შენიშნეს და შედეგად იმ ადგილს მიაგნეს, სადაც ბავშვი იყო ჩამარხული. მათ დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება.

გოგონა მიწიდან ამოიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ახალშობილი ჭიპლარით პლაცენტაზე იყო მიბმული. ახალშობილს სხეულზე ღრმა ჩალურჯებები და ნაკაწრები ეტყობოდა. ექიმებმა ბავშვი მიწისგან გაასუფთავეს და ჭიპლარი გადაჭრეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვს სუსტი ხმა აღმოხდა.

ჩვილი პირსახოცში გაახვიეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანის მომენტისთვის ბავშვი უფრო ხმამაღლა ატირდა. ექიმებმა ახალშობილი დაბანეს და იარები დაუმუშავეს, რის შემდეგაც ინკუბატორში მოათავსეს.

შემდგომმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გოგონას გარეგნულის გარდა, სხვა დაზიანებები არ აღენიშნებოდა. ბავშვმა საავადმყოფოში ექვსი დღე გაატარა, რის შემდეგაც ის ბებიას გადაეცა და ამჟამად მისი მეურვეობის ქვეშ იმყოფება.

გოგონას დედა დააპატიმრეს, ის ჯერ გამოსასწორებელ ცენტრში მოათავსეს, შემდეგ კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# უიშვიათესი კომიქსი აუქციონზე რეკორდულ ფასად გაიყიდა




აშშ-ში 1938 წლის გამოშვების კომიქსის ეცტიონ ჩომიცს-ის პირველმა ნომერმა აუქციონზე ახალი რეკორდი დაამყარა.

უიშვიათესი კომიქსი, რომელიც სუპერმენის პირველ გმირობებს ასახავს, აუქციონზე, რომელიც ხუთშაბათს, 4 აპრილს გაიმართა, რეკორდულ ფასად – ექვს მილიონ დოლარად გაიყიდა. კომიქსის მდგომარეობა 10 ბალიანი სისტემიდან 8,5 ბალად იყო შეფასებული, რაც „ძალიან კარგს“ ნიშნავს.

სულ მსოფლიოში 100 ასეთი ეგზემპლარის არსებობაა ცნობილი, რომელთაგან 78 პროფესიონალებმა შეაფასეს და მათგან მხოლოდ სამი შეფასდა „ძალიან კარგად“. ამავე კომიქსის ადრინდელი რეკორდი 2022 წელს დამყარდა. მაშინ ის 5,3 მილიონ დოლარად გაიყიდა.

# პლაჟზე გამოსულ შიშველ ბერს პოლიციაში უჩივლეს

ტაილანდში ხალხმა პლაჟზე შიშველი ბუდისტი ბერი შენიშნა, რამაც ისინი აღაშფოთა და პოლიციას შეატყობინეს.

ადგილობრივებმა პოლიციას მას შემდეგ მიმართეს, როდესაც კარონის პლაჟზე წყალში მყოფი შიშველი ბერი შენიშნეს. შედეგად 67 წლის ფრა მანოპ ფორმსილუ სამართალდამცავებმა დააკავეს და განყოფილებაში დასაკითხად გადაიყვანეს. მამაკაცმა, რომელიც პხუკეტის გავლით პროვინცია თხალანგში მონასტერში მიდიოდა, განაცხადა, რომ ის სრულად არ გაშიშვლებულა და მხოლოდ წელს ზევით იყო გახდილი. მისი ნათქვამი სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერებმა დაადასტურა.

ამის შემდეგ ბერი გაანთავისუფლეს და მან ქვეყნის ჩრდილოეთისკენ გზა გააგრძელა. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, მათ ბერის დაპატიმრების ან მისთვის რაიმე სახის ბრალდების წაყენების მიზეზი არ ჰქონიათ, ვინაიდან მას არანაირი კანონი არ დაურღვევია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# სამგურალმა პირველად გაიმარჯვა, თბილისის დინამოს სტუმრად უჭირს

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის მეშვიდე ტური და ბევრი არაფერი შეცვლილა. ლიდერთა შორის ისევ ის გუნდები ტრიალებენ, ხოლო ქვედა ნაწილში პირველი გამარჯვება მოიპოვა სამგურალმა და ბოლო ადგილს თავი დააღწია.

**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 2:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

**1:0 გომისი (34), 2:0 კუტალია (68)**

**დინამო ბთ:** კვასხვაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, ქაფიანიძე (ფაცაცია 78), სილვა (ხარაბაძე 78), სანტოსი, მარა (მალი 35), ჟან ვიქტორი (ვიტინიო 78), გომისი (ლუდუშაური 67), წიტაიშვილი, კუტალია

**დინამო თბ:** ლორია, გოგნაძე, კალანდაძე, უგრეხელიძე, კადეტე, საიმონი, სიხარულაშვილი, მოისწრაფიშვილი (შუქუროვი 81), ლომინაძე (ოსიყმაშვილი 70), სალია (სანტისი 40), გორდეზიანი (ოქრიაშვილი 70)

ბოლო ხუთი წელია, ეს კლუბები ხდებიან ჩემპიონები. ცხადია, მათი დაპირისპირება ამჯერადაც საინტერესო გამოდგა. თუმცა, ზღვისპირელები ბევრად დალაგებულად გამოიყურებოდნენ და მოქმედმა ჩემპიონმა დედაქალაქელებს თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა.

34-ე წუთი იყო, როცა ბათუმელთა სენეგალელმა შემტევმა ონორე გომისმა დაიწყო შეტევა, კარგი პასი გაუკეთა გიორგი წიტაიშვილს, რომლის დარტყმული ბურთი გიორგი ლორიამ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე თავად გომისმა მოახერხა ზუსტად დარტყმა და ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა – 1:0.

მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მეორე ტაიმის შუაში კი ისევ ბათუმელებმა გაიტანეს: ჟან ვიქტორის ჭკვიანურ პასს მოჰყვა ლევან კუტალიას ტექნიკურად შესრულება და 2:0. ეს კუტალიას პირველი გოლია ბათუმელთა მაისურით. ლევანი 2019 წელს ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ოღონდ მაშინ დინამო თბილისში თამაშობდა.

საინტერესოა, რომ დღეს დინამო თბილისში თორნიკე ოქრიაშვილის დებიუტი შედგა. 70-ე წუთზე შევიდა მინდორზე. ოქრიაშვილს ერთი წელი არ ჰქონდა ნათამაშები, ბოლოს შარშან გაგრაში იყო. 32 წლის თორნიკეს საქართველოს ნაკრებში 50 მატჩი აქვს ჩატარებული და 13 გოლიც გაუტანია.

ცხრილს რაც შეეხება, დინამო ბათუმი ლიდერია, ხოლო თბილისელები მეექვსე ადგილზე არიან. ამ ორ კლუბს შორის სხვაობა 10 ქულამდე გაიზარდა. დინამო თბილისმა მიმდინარე სეზონში სამი გასვლითი მატჩიდან სამივე წააგო და თან გოლიც არ გაუტანია...

**დილა-სამტრედია 3:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 განიძე (303), 2:0 კონტე (45), 3:0 შეყილაძე (67)**

74-ე წუთზე გოგოლაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დილა:** კერესელიძე, გ.გაფრინდაშვილი (ეტოუ 79), ლიტვინენკო, ბოჭორიშვილი (იცხაკი 68), რუხაძე (ლო-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# რიჩარდ კოკერილი ვეფხვებთან ლომებით ბრუნდება




საქართველოს რაგბის ნაკრების თავკაცი რიჩარდ კოკერილი პარალელურად შავ ლომსაც დამოძღვრავს, დებიუტი კი 3 მაისს, მშობლიური კლუბის, ლესტერ თაიგერსის წინაალმდეგ შედგება. კოკერილი „უელფორდ როუდზე", 2017 წლის შემდეგ ბრუნდება.

ჩვენი გუნდის თავკაცმა მოთამაშის კარიერის უდიდესი ნაწილიც სწორედ ლესტერში გაატარა და 143 წლის ისტორიის მქონე გუნდის ღირსებას 1992-2002 წლებში იცავდა. შემდეგ ორი სეზონი მონპელიეში ითამაშა და 2004-05 წლებში კვლავ „ვეფხვებს" დაუბრუნდა.

ლესტერში დაიწყო სამწვრთნელო კარიერაც და 2005-09 წლებში შერკინებას ავარჯიშებდა, 2009-17 წლებში კი, მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებდა და გუნდს არაერთი ისტორიული გამარჯვება მოუპოვა.

პრემიერშიფის გასული სეზონი ლესტერმა მესამე ადგილით დაასრულა. მიმდინარე გათამაშებაში კი, 14 თამაშიდან 39 ქულით (8 მოგება, 6 მარცხი), ჯერჯერობით, მეშვიდეა, მაგრამ მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს მეორე პოზიციაზე მყოფ ბათსთან.

შავი ლომი ბრიტანულ ტურნეში 18 აპრილს გაემგზავრება, შოტლანდიაში, ედინბურგში ჩავა და ერთკვირიან შეკრებას გაივლის, რის შემდეგაც ისტ-მიდლენდში გადაინაცვლებს და ლესტერთან ამხანაგური მატჩისთვის მოემზადება.

**რიჩარდ კოკერილი:**

– მოუთმენლად ველი ქართულ გუნდთან ერთად ჩემთვის მშობლიურ მხარეში დაბრუნებას. ლესტერს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია. მოთამაშის თუ მწვრთნელის რანგში, „უელფორდ როუდთან", რომელსაც უნიკალური ისტორია და აურა აქვს, უამრავი თბილი მოგონება მაკავშირებს. შავი ლომისთვის ეს თამაში შესანიშნავი შესაძლებლობაა. ჩელენჯ თასის წარმატებული, სადებიუტო სეზონის შემდეგ, კიდევ ერთხელ ითამაშებს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის წინაალმდეგ.

# ბარსელონა კვარაცხელიათი დაინტერესდა

არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბარსელონა სატრანსფერო პოლიტიკა ცვლის. კატალონიელები აღარ აპირებენ, გაანიავონ ფული ძვირადღირებულ ფეხბურთელებზე, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ თავიანთ კლუბებში და კარიერის დამამთავრებელ ეტაპებზე იმყოფებიან. ამის სანაცვლოდ, კლუბი აქტიურად ფოკუსირდება ტოპ-ტალანტების შეძენასა და მათ განვითარებაზე.



ერთ-ერთი ასეთი საქართველოს ნაკრებისა და ნაპოლის შემტევი ხვიჩა კვარაცხელიაა, რომლის დაინტერესების შესახებ ესპანურმა გამოცემა ას-მა დაწერა.

ირკვევა, რომ ბოლო კვირების განმავლობაში კატალონიური გრანდი ნეაპოლელებს 23 წლის ქართველთან დაკავშირებით ელაპარაკებოდა.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული პრობლემის ფონზე, კვარას ბარსელონაში გადაბარგების ალბათობა ნულის ტოლია. თუმცა, ფაქტი ბარსელონას ინტერესისა და მოლაპარაკებების შესახებ, საინტერესოა. თანაც, რაც წარმოუდგენელი ჩანს მომავალ ზაფხულს, სავსებით შესაძლებელია რეალური მომდევნო სატრანსფერო ფანჯრის პერიოდებში გახდეს.

აი, რას წერს ცნობილი ესპანური გამოცემა:

– ნაპოლი ღრმა კრიზისშია და უკვე სამი მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ კვარა, რომელსაც მიმდინარე სეზონში 10 გოლი და 6 საგოლე პასი აქვს, სერია ა-ს ის ფეხბურთელია, რომელიც კარში ყველაზე მეტჯერ ურტყამს (101), ასრულებს ყველაზე მეტ მწვავე გადაცემას (147), ყველაზე მეტჯერ ეხება ბურთს მეტოქის საჯარიმოში (64) და ვისთანაც ყველაზე მეტჯერ ჯარიმდებიან (70). ტრანსფერმარკეტის თანახმად, კვარა (80 მილიონი ევრო) მსოფლიოში მესამე ყველაზე ძვირადღირებული მარცხენა შემტევია, ვინისუსის (150) და რაფა ლეაოს (90) შემდეგ.

შედეგიანობა და ასაკი კვარაცხელიას მომდევნო სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ფეხბურთელად აქცევს და მისი სახელიც ბარსელონას სასურველ მოთამაშეთა სიაში ჩნდება.

ფეხბურთელისადმი „ბლაუგრანას" ინტერესის შესახებ ბოლო თვეებშიც არაერთხელ გამჟღავნდა და ბოლო კვირების განმავლობაში კლუბების დირექტორებს შორის კონტაქტი შედგა. თუმცა, ნაპოლის რეაქცია ტრანსფერის განხორციელების იმედს არ ტოვებს. დე ლაურენტისი ზაფხულში ვიქტორ ოსიმენის უკვე დაკარგვას შეეგუა, მაგრამ აღარ სურს ამავე ფანჯარაში მეორე ვარსკვლავსაც შეელიოს. იტალიელი ამაზე მხოლოდ მაშინ დაფიქრდება, თუკი სანაცვლოდ ზღაპრულ, 130-მილიონიან შეთავაზებას მიიღებს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

გარდა ამისა, ნაპოლი კვარაცხელიას გარშემო მომავალი წლის პროექტის აგებას აპირებს, რომელსაც ახალი სპორტული დირექტორი, იუვენტუსიდან გადაბარგებული ჯოვანი მანა ჩაიბარებს. ამის გამო დე ლაურენტისი მაისის ბოლოს შეეცდება, კვარაცხელია, რომელსაც კონტრაქტი 2027 წლამდე აქვს, ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე დაიყოლიოს. კვარაცხელიას მომავალი სწორედ ამ მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული.

# სამგურალმა პირველად გაიმარჯვა, თბილისის დინამოს სტუმრად უჭირს

**დასაწყისი მე-6 გვერდზე**

პესი 68), ნ.გაგნიძე, ანდრონიკაშვილი, ნობრეგა (ლეიდსმანი 76), დრამე (ვოუტერი 68), კონტე, შ.შეყილაძე

**სამტრედია:** თ.მეგრელიშვილი, ბოშკოვსკი (უკპელი 64), გიგაშვილი, ასუნსაუ, დ.უბილავა, აკნაზაროვი (კვარაცხელია 46), ბარიოსი (ჩიტაიშვილი 79), ხმალაძე (ფაჩულია 46), ჰაიდარი (ნ.აბულაძე 64), გოგოლაშვილი, ინჯგია

დილამ გაიმარჯვა და ლიდერ ბათუმის დინამოს მოდუნების საშუალებას არ ძლევს, ორი ქულით ჩამორჩება და მომავალ ტურში გორში უმასპინძლებს.

მანამდე კი, ქართლელებმა სამტრედიას 3:0 აჯობეს. ორი გოლი პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთში გავიდა. ჯერ სტუმართა მცველმა ზურაბ გიგაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი ნიკა გაგნიძემ შეასრულა ზუსტად; მერე კი შოთა შეყილაძემ მშვენიერი ფინტით მოატყუა სამტრედიელთა მცველი ლეო ასუნსეო, პასი დაუგორა აბუბაქარ კონტეს და მანაც ძლიერი დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

მეორე ტაიმის შუაში კი შეყილაძემაც გაიტანა: გაგნიძის ჩაწოდებულს თავური მიაყოლა – 3:0.

სამტრედიას 74-ე წუთზე პენალტით შეეძლო სხვაობის შემცირება, მაგრამ გიორგი გოგოლაშვილის დარტყმული ბურთი დავით კერესელიძემ მოიგერია...

### კოლხეთი-იბერია 1:2

**ქობულეთი. საფეხბურთო ცენტრი**

**0:1 ჯავი (42), 1:1 ზურაბიანი (50), 1:2 სილა (76)**

**კოლხეთი:** რიაბენკო, ტურე (ზურაბიანი 46), ტიამი, გიუნაშვილი, ლაკვეხელიანი (თ.შეყილაძე 88), ჟორდანია, ფირანაშვილი, დ.გვასალია (ვრაჩუ 46), ხარებავა (ახალაძე 79), მელქაძე, კლიმოვი (ლ.კოხრეიძე 66)

**იბერია:** კუპატაძე, კაპანაძე, აგიაკვა, ჯგერენაია, აგბალაკა, ო.მამაგეიშვილი, ქარდავა, გ.კოხრეიძე (ს.გეგუჩაძე 82), მამაცაშვილი (ლუდუენია 65), ჯავი (გამარა 65), სილა (ნარიმანიძე 90)

**გაძევება:** ფირანაშვილი (45)



თბილისის იბერიამ 2:1 მოუგო ფოთელებს. სტუმართაგან ორივე გოლი აფრიკელებმა გაიტანეს.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში გაბონელმა შემტევმა ფლორის ჯავიმ გამოზომილი დაბალი დარტყმით ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლი მიითვალა – 0:1.

ზედ შესვენების წინ კოლხეთი ათი კაცით დარჩა, რადგან საბა ფირანაშვილი მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს. მიუხედავად კაცნაკლულობისა, ფოთელებმა საკმაოდ იბრძოლეს და 50-ე წუთზე ანგარიში დავით ზურაბიანმა გაათანაბრა.

იბერიელებმა მაინც მოახერხეს გამარჯვება. გიორგი კოხრეიძის ჩაწოდებულს მალელმა შეიკნე სილამ მიაყოლა თავური და 1:2.

### გაგრა-ტორპედო 0:1

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

**0:1 იონსენი (35)**

**გაგრა:** ბედიაშვილი, გეგეჭკორი, კაკუბავა, ჯანგიძე, ჭავჭანიძე (ქიმაძე 68), პაპუაშვილი (ივანიაძე 68), ცინცაძე, გაბისკირია (გ.ლომთაძე 49), აფციაური (გოგოლაძე 83), ხარებაშვილი, ვაწაძე

**ტორპედო:** კლიაიჩი (გოშაძე 46), გ.მჭედლიშვილი, მონტეირო, მ.აბულაძე, შერგელაშვილი, აკბარი, ელიტონი (გიგაური 64), ჟორჟინიო, არაბიძე, პირესი, იონსენი (ნინკოვიჩი 79)

ქუთაისის ტორპედომ თბილისში 1:0 სძლია გაგრას. ეს ტორპედოელთა პირველი გასვლითი მოგებაა მიმდინარე სეზონში.

35-ე წუთი იყო, როცა გიორგი არაბიძემ შორიდან ძლიერად დაარტყა, მეკარე გიორგი ბედიაშვილმა მოიგერია ბურთი და დამატებაზე ბიორნ იონსენმა გაიტანა. სხვათა შორის, თითქმის იდენტური გოლი გაიტანა ტორპედომ წინა შეხვედრაში ფოთის კოლხეთთან: არაბიძის დარტყმა, გამოვარდნილი ბურთი და იქ შერგელაშვილმა დაამატა...

იონსენს რაც შეეხება, ეს მისი მეხუთე გოლია მიმდინარე ჩემპიონატში და ნორვეგიელი ბომბარდირთა დავაში პირველია.

### სამგურალი-თელავი 2:1

**წყალტუბო. საფეხბურთო ცენტრი**

**1:0 შეროზია (4), 1:1 ხაბულიანი (55), 2:1 ხორხელი (77)**

**სამგურალი:** კუტალაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მარკოვინა, კალანდარიშვილი, ვინისიუსი, ა.ვერულიძე (ი.ახვლედიანი 69), ჯანჯღავა (ჩიხლაძე 64), ხორხელი (გ.გეგუჩაძე 79), კარლოსი (ბული 79), შეროზია (ფანცულაია 69)

**თელავი:** ქურდაძე, პერუცი, ბუკორაცი, ოდიშვილი (ანანიძე 90), გაბიტაშვილი, ჟღენტი (პარკინაშვილი 21), ჯეფერსონი, ლესნიაკი, ხალნაზაროვი (მორჩილაძე 46), მაიროვიჩი (ცნობილაძე 71), თ.ახვლედიანი (ხაბულიანი 46)

**გაძევება:** ბუკორაცი (90)

წყალტუბოელებმა სეზონში პირველად მოიგეს. მიხეილ აშვეთიას გაწვრთნილ სამგურალს წინა ექვს შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა კი ერთ მატჩში ორჯერ მოახერხა.

სამგურალი სწრაფი გოლით და დაბალ კუთხეში დარტყმით ლუკა შეროზიამ დააწინაურა. მეორე ნახევარში თელავმა გაათანაბრა გიორგი ხაბულიანის თითქმის იმავე ადგილიდან გატანილით – 1:1.

გამარჯვების ბურთი კი ლუკა ხორხელმა მიითვალა, რომელმაც გიორგი ფანცულაიას პასი გამოიყენა და ახლოდან ზუსტად დაარტყა. ეს 77-ე წუთზე მოხდა.

სამგურალმა ბოლოსწინა ადგილზე გადაინაცვლა, თელავი კი მეშვიდეზეა. მათ შორის მხოლოდ ერთი ქულაა სხვაობა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 7 | 6 | 0 | 1 | 11-6 | 18 |
| 2. დილა | 7 | 5 | 1 | 1 | 12-4 | 16 |
| 3. იბერია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-8 | 16 |
| 4. ტორპედო | 7 | 4 | 0 | 3 | 13-10 | 12 |
| 5. კოლხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| 6. დინამო (თბ) | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 7. თელავი | 7 | 2 | 0 | 5 | 7-8 | 6 |
| 8. სამტრედია | 7 | 1 | 3 | 3 | 8-14 | 6 |
| 9. სამგურალი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 10. გაგრა | 7 | 1 | 1 | 5 | 5-10 | 4 |

# შედეგები

**8 აპრილი**

**ფეხბურთი**

### ესპანეთი.

### სეგუნდა დივიზიონი

რასინგი-ალკორკონი ........ 0:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-ინტერი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 31 | 26 | 4 | 1 | 75-15 | 82 |
| 2.მილანი | 31 | 21 | 5 | 5 | 60-34 | 68 |
| 3.იუვენტუსი | 31 | 18 | 8 | 5 | 45-24 | 62 |
| 4.ბოლონია | 31 | 16 | 10 | 5 | 45-25 | 58 |
| 5.რომა | 31 | 16 | 7 | 8 | 56-35 | 55 |
| 6.ატალანტა | 30 | 15 | 5 | 10 | 55-34 | 50 |
| 7.ნაპოლი | 31 | 13 | 9 | 9 | 48-38 | 48 |
| 8.ლაციო | 31 | 14 | 4 | 13 | 37-34 | 46 |
| 9.ტორინო | 31 | 11 | 11 | 9 | 31-29 | 44 |
| 10.ფიორენტინა | 30 | 12 | 7 | 11 | 42-35 | 43 |
| 11.მონცა | 31 | 11 | 9 | 11 | 34-41 | 42 |
| 12.ჯენოა | 31 | 9 | 11 | 11 | 34-38 | 38 |
| 13.კალიარი | 31 | 7 | 9 | 15 | 32-52 | 30 |
| 14.ლეჩე | 31 | 6 | 11 | 14 | 26-48 | 29 |
| 15.უდინეზე | 31 | 4 | 16 | 11 | 30-47 | 28 |
| 16.ემპოლი | 31 | 7 | 7 | 17 | 25-47 | 28 |
| 17.ვერონა | 31 | 6 | 9 | 16 | 28-42 | 27 |
| 18.ფროზინონე | 31 | 6 | 8 | 17 | 38-61 | 26 |
| 19.სასუოლო | 31 | 6 | 7 | 18 | 36-59 | 25 |
| 20.სალერნიტანა | 31 | 2 | 9 | 20 | 25-64 | 14 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

ოსერი-ტრუა ........ 2:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

კასა პია-ეშტორილი ........ 0:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-პოლესიე ........ 2:3

დინამო-ჩერკასი ........ 1:1

კრივბასი-ვორსკლა ........ 1:1

### დანია. სუპერლიგა

ბრონდბიუ-სილკებორგი ........ 1:1

### შვედეთი. ალსვენსკა

ვერნამო-გაისი ........ 1:2

კალმარი-სირიუსი ........ 1:2

დიურგარდენი-ჰაკენი ........ 3:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 2. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო; 4. მეტალურგიული ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 5. ფულის ერთეული უკრაინაში; 9. გადასატანი ქეჩის კარავი შუა აზიაში; 10. ელექტროწინაღობის საზომი ხელსაწყო; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. კუთხე საქართველოში; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ცირკის მასხარა, ჯამბაზი; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

**თარაზულად:** 6. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 11. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 12. იაპონური ხელოვნური თანამგზავრების სერია; 13. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. სადავო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. უმაღლეს თანამდებობის პირთა კრება ძველ საბერძნეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაბი; 2. შარჟი; 3. შტირია; 5. აშული; 6. ბოლივუდი; 8. ონომასტიკა; 10. ანტრაშა; 12. სანაცია; 14. ლეჩაქი; 15. ტანინი; 16. ონიმა.

**თარაზულად:** 1. პანეში; 4. სახიობა; 7. ბორანი; 9. იგრიკა; 11. ლოსიონი; 12. სტიუარდი; 13. ორბანი; 17. იბერია; 18. ფიცი; 19. სიკოფანტი; 20. ბარახასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიზაჟიო; 2. ლიოტარი; 3. პრეამბულა; 4. დულაბი; 5. ფიშერი; 9. ხომლი; 10. ანარქია; 14. კახიაშვილი; 15. დისპაშერი; 16. ალგოლი; 19. ბოკვერი; 20. სულიკო; 21. პლევრა.

**თარაზულად:** 6. დისტილატორი; 7. ქებურია; 8. ბაგეტი; 11. ბომბორა; 12. ირანი; 13. გურიელი; 17. ვიქტორინა; 18. წალენჯიხა; 22. კუბრიკი; 23. ლელქაში; 24. ბრეტიორი; 25. სინაგოგა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


10 აპრილი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6777

ევრო — 2.9005

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3825

100 რუსული რუბლი — 2.8950

**ამინდის პროგნოზი 10 აპრილისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხავი: „პარიზში მოსაგებად ჩამოვედით“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა პსჟ-სთან შეხვედრის წინ თქვა, რომ მისი გუნდი პარიზში მოსაგებად ჩავიდა, თუმცა, არც ფრე იქნება ცუდი შედეგი. ხავის აზრით, ბარსელონას შეუძლია პსჟ-ს დამარცხება:

– პსჟ ძლიერია და ჩვენ კარგად გვესმის, რომ წინ რთული შეხვედრა გველის. ჩვენი ძლიერი მხარეები უნდა გამოვიყენოთ და ასე მოხდა, შეგვიძლია გამარჯვების მოპოვება. თამაშის ბედს პატარა დეტალები გადაწყვეტს.

## დიეგო სიმეონე: „საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოვიგოთ“



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ თქვა, რომ მისი გუნდისთვის ბორუსიასთან საკუთარ მოედანზე გამართული შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და მათ აუცილებლად უნდა მოიგონ:

– საკუთარ მოედანზე ატლეტიკო ძლიერია და ჩვენ ბევრი სახელოვანი გუნდი გვყავს დამარცხებული, ამიტომ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეთ და ყველას ვაჩვენოთ რა შეგვიძლია.

## ვინიციუსი მბაპეს მოსვლის შემთხვევაში რეალს არ დატოვებს



მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კილიან მბაპეს რეალში გადასვლის შემთხვევაში, ვინიციუსმა შესაძლოა რეალი დატოვოს, თუმცა, თვითონ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ეს ინფორმაცია უარყო და თქვა, რომ ის რეალში კიდევ დიდხანს აპირებს თამაშს.

მბაპე დიდი ალბათობით ზაფხულში ოფიციალურად რეალის ფეხბურთელი გახდება, თუმცა, ფრანგ ფეხბურთელს ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კონსერვატორიის ვიცერექტორად ნინო კასრაძე დაინიშნა



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის, გიორგი ვაჩნაძის ბრძანებით, კონსერვატორიის რექტორის მოადგილედ – ვიცერექტორად ნინო კასრაძე დაინიშნა.

ნინო კასრაძემ კონსერვატორია საფორტეპიანო განხრით დაამთავრა, აქვე გაიარა ასისტენტურა სტაჟირების კურსი და მიიღო დოქტორის აკადემიური ხარისხი საშემსრულებლო დარგში. იგი სხვადასხვა დროს იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედისა“ და ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილებების პედაგოგი. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იყო „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორის მოადგილე.

ნინო კასრაძე არის არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი: გადაეცა პირველი პრემია და სპეცპრიზი, როგორც საუკეთესო უცხოელ მონაწილეს რომის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე, პირველი პრემია და სპეცპრიზი აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო პიანისტ მუსიკოს-შემსრულებელთა XV საერთაშორისო კონკურსზე, ფინალისტის დიპლომი კანტუს საფორტეპიანო კონცერტების XX საერთაშორისო კონკურსზე, პირველი პრემია მარკოპულოს პიანისტთა IV საერთაშორისო კონკურსზე.

## ბაიარ შაჰინი და მისი შვილები თბილისში კონცერტს გამართავენ



თურქეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე) და მისი 3 შვილი თბილისში კონცერტს გამართავენ.

„ბაიარ შაჰინი და სამიდა“ – ასე ჰქვია კონცერტს, რომელიც 20 აპრილს გრიბოედოვის თეატრში ჩატარდება. მომღერლები მსმენელისთვის ხალხური და საესტრადო სიმღერისგან შედგენილ საკონცერტო პროგრამას წარადგენენ. საღამოზე შესრულდება ქართული და თურქული ტრადიციული სიმღერების ხალხური და საესტრადო ვარიანტები.

ანსამბლი „სამიდა“ 2016 წელს გამოჩენილი ხელოვანისა და მუსიკოსის, ბაიარ შაჰინის ქალიშვილებმა, იუდუმ, დამლა და თამარა შაჰინებმა დააარსეს. დების მთავარი მიზანი ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის თურქულ ხალხურ სიმღერებში გამოყენება და ქართული სიმღერის პოპულარიზებაა. ისინი ახალ სიმღერებსაც ქმნიან. იუდუმ შაჰინი უკრავს გიტარაზე, ჩელოსა და ფანდურზე, დამლა – სალამურზე, ფლეიტასა და დუდუკზე, თამარი კი – ვიოლინოზე. ანსამბლის რეპერტუარი ძირითადად შდგება ქართული სიმღერებისგან. გოგონებს რამდენიმე ალბომი აქვთ გამოშვებული.

## რობერტ სტურუასადმი მიძღვნილ ფილმებს კინოს სახლში უჩვენებენ



20 აპრილს კინოს სახლში რეჟისორ რობერტ სტურუასადმი მიძღვნილი ფილმების ჩვენება გაიმართება.

საქართველოს კინოაკადემია რობერტ სტურუას 85 წლის იუბილეს 2 რეჟისორის ფილმების წარდგენით აღნიშნავს.

მაყურებელი ნახავს რეჟისორ მანანა ანასაშვილის ფილმს „რობიკო სტურუა, რამდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან“ და გიორგი ჭუმბურიძის ფილმს „რობიკოს მასტერკლასი“.

საქართველოს კინოაკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ფილმების ჩვენებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იქნება.

## ელზა ახვლედიანს „საუკუნის წიგნიერის“ ჯილდო გადაეცა



გაბრიელ გარსია მარკესის ქართულად მთარგმნელს, 90 წლის ელზა ახვლედიანს „წიგნიერების გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ „საუკუნის წიგნიერის“ ჯილდო გადასცა:

– გაივლის წლები და სიამაყით გავიხსენებთ, როგორ დავაჯილდოეთ „საუკუნის წიგნიერი“ ელზა ახვლედიანი, მარკესის გენიალური მთარგმნელი, რომელმაც ბოლოს გაგვიმხილა, რომ თურმე სწორედ დღეს, 90 წლის გახდა.

ერთხელ, ადრე ვკითხე, რომელია მეთქი, მარკესიდან თქვენი მთავარი ფრაზა, მან გაიხსენა ცნობილი სატელეფონო ლაპარაკი, როცა ხერინელდოს აირელიანო ურეკავს და ომის სასტიკ ამბებს უყვება და ბოლოს, მანდ რა ხდებაო, და ამან: „აურელიანო, მაკონდოში წვიმს.“ ეს არის დიდი ლიტერატურა. დიდი მარკესი. დიდი ელზა.

## აღმოჩენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში



საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოჩენა გაკეთდა.

**ლევან თაქთაქიშვილი, ბიბლიოგრაფი:**

– ჩემო ძვირფასო, ქართველო ერო, ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსის შესასვლელი ალბათ ყველას გინახავთ, თუ არ გინახავთ, მაშინ უფრო ბედნიერნი ხართ, რადგან ამ კორპუსში შესვლის სიამოვნება ჯერ რომ არ მიგიღიათ. მე მივმართავ მათ, ვინც არის ეროვნული ბიბლიოთეკის გულშემატკივარი, მეგობარი, მიჯნური!

აბა, შეხედეთ, ეს შემოსასვლელი ალბათ იცანით! ეს გისოსი კი არ გინახავთ. ის აღმოჩნდა გასული წლის ბოლოს სარდაფის კედელში ჩამონტაჟებული. მისი ამწევი მექანიზმის ნაწილმა ჩვენამდე არ მოაღწია. ჩვენი მიზანი იყო, აღგვედგინა მთლიანი მექანიზმი ისე, რომ ყველაფერი ორიგინალი ყოფილიყო. მაგრამ მთელი პრობლემა ის იყო, რომ ჩვენ უნდა წარმოგვედგინა, როგორ იყო გადაწყვეტილი რკინის უზარმაზარი გისოსის მოძრაობა, სად იყო დამონტაჟებული საკისრები, ჩვენ აღვადგინეთ საკისრები, დავაყენეთ ისინი ბოძებზე, სადაც ეტყობოდა მათი ძველი ადგილის კვალი, მაგრამ იმისათვის, რომ კარი ბოლომდე აგვეწია, არ ყოფნიდა ტროსზე ჩამოკიდებულ სიმძიმეს სიმაღლე. ქვის იატაკი უშლიდა ხელს. იქნებ გვეშლებოდა რაღაც? დღეს დილას გადავწყვიტეთ იატაკის ამოჭრა, ერთადერთი გამოსავალი იყო ის, ჩავთვალეთ, რომ იატაკის დონე აწეული იყო წლების განმავლობაში. ამოჭრის პროცესში აღმოჩნდა მიწაში ჩამარხული ძველი, ორიგინალი, ფოლადის „სიმძიმე“. ზუსტად იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეც იყო 1912 წელს ამ ოთახის იატაკი. ზუსტად იმ სიღრმეზე, რაც აკლდა.

ე.ი. ჩვენი გათვლები სწორი აღმოჩნდა. გრძელდება და ამ თვეში დასრულდება კარის დამცავი გისოსის რესტავრაციისა და აღდგენის პროცესი. დღეს პირველად ამოვიდა რკინის გისოსი იმ სიმაღლეზე, რაზეც ის ადიოდა 110 წლის წინ.

## ანუკი არეშიძემ კოსმეტიკის წარმოება დაიწყო



მოდელმა და დიზაინერმა ანუკი არეშიძემ საკუთარი ბიზნესი გააფართოვა და ტანსაცმლისა და აქსესუარების შემდეგ, კოსმეტიკის წარმოებაც დაიწყო.

მის მიერ სილამაზისა და ჯანმრთელობის მოყვარულთათვის შეთავაზებული პროდუქცია ნატურალური კომპონენტებისგან დამზადებული კოსმეტიკა იქნება და ყველა ასაკის მომხმარებელს გააერთიანებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 5. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. ციტრუსოვანი მცენარე თურინჯის მეორე სახელწოდება; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ცხენის მოსართავი; 15. უბანი თბილისში; 16. მინერალური წყალი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 9. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 11. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. რაიონული ცენტრი საინგილოში; 13. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბიის ზღვაში; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. რომაელი პოლიტიკოსი, ორატორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

